ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

„ახალი თაობა“+ კოკო შანელი

8 ლარი

26 სექტემბრიდან 10 ოქტომბრამდე




ხუთშაბათი, 29 სექტემბერი, 2011 №231 (5611) ფასი: 30 თეთრი

# ირაკლი ალასანია ბაჩო ახალაიას უწყებას თანამშრომლის მკვლელობაში ადანაშაულებს

გვ.3



## თბილისში ტრანსპორტი ისევ გაძვირდება!

გვ.2

ერთადერთი, რამაც შეი ლება ეს პროცესი ამ წუთში შეაჩეროს, ეს არის არჩევნები ან საზოგადოების აქტიურობა, რომელიც ბოლო პერიოდში არ ჩანს.



## გარემოვაჭრეებს 7-7 დღით ციხეში ჩასვამენ

გვ.3

## რა მოხდა რუსთავის მე-17 საპატიმროში და რატომ დატოვა თანამდებობა საპატიმროს უფროსმა?

გვ.4





## საქართველოში ყველაფერი გასაიდუმლოებულია

გვ.4

გვ.5



## უფლებადამცველებმა შალვა რამიშვილის დაკავებასთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელეს

გვ.5



## დავით გულუა: „410 დღის განმავლობაში სოხუმის აღება ვერ შეძლეს“



## სოფლის მეურნეობას სახელმწიფოს მხარდაჭერა სჭირდება

გვ.6



გვ.3

## ჯონდი ბაღათურია დიმიტრი შაშკინის პარლამენტში მისვლას ითხოვს

## ბაკურ კვეზერელი: „ჰიბრიდული სიმინდის პროგრამა ყველაზე მაღალშემოსავლიანია“



გვ.6

3090

SMS განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

2 საპატრიარქოსა და ჯანდაცვის სამინისტროს შორის ხელშეკრულება გაფორმდა

4 საპილოს ეზოზე მონადირე მღებრიშვილი ციხეში ჩასვეს

4 სოფელ ჭაბუკიანში მოსახლეობა ყურძენზე დაბალ ფასს აპროტესტებს

6 მიტოვებული შენობების მეპატრონეებს მათი რეაბილიტაცია დაეკისრებათ

## საპატრიარქოსა და ჯანდაცვის სამინისტროს შორის ხელშეკრულება გაფორმდა

საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ, მართლმადიდებელ ეკლესიასა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შორის თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულება გაფორმდა.

შეთანხმებას საპატრიარქოში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ და და ჯანდაცვის მინისტრმა ანდრია ურუშაძემ მოაწერეს ხელი.

ხელშეკრულების თანახმად, ეკლესია და სამინისტრო მზად არიან ხელი შეუწყონ ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის სრულყოფას, რათა მზრუნველობამოკლებულ და სოციალურად დაუცველ ბავშვებს ოჯახურ გარემოსთან მიახლოებული პირობები შეექმნათ.

გარდა ამისა, ეკლესია და სამინისტრო ერთობლივად იმუშავებენ იმაზე, რომ შესაძლებლობის ფარგლებში მათ მზრუნველობას დაქვემდებარებულ პირთათვის უზრუნველყონ ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო სტანდარტების დანერგვა და სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებულ სერვისებზე ხელმისაწვდომობა, რაც გულისხმობს მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევის როლისა და ხელმისაწვდომობის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას, მოსახლეობისთვის ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას და დამკვიდრებას. ასევე, მემორანდუმით გათვალისწინებულ საკითხებზე, სამინისტროსა და საპატრიარქოს მონაწილეობით ერთობლივი ღონისძიებების გამართვას.

ხელმოწერის ცერემონიის დასრულების შემდეგ, უწმინდესმა ჯანდაცვის მინისტრს საჩუქარი გადასცა.

**მედიანიუსი**

## მოსკოვში 20 წლის განმავლობაში ძებნილი ქართველი დააკავეს

მოსკოვის აეროპორტ „შერემეტიოვოში" მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი მკლავჭიდში, 41 წლის ჯამბულ ვიბლიანი დააკავეს.

„რია ნოვოსტის" ცნობით, დაკავებული 20 წლის განმავლობაში საერთაშორისო ძებნაში იმყოფებოდა. ვიბლიანი 1990 წელს თბილისში ჩადენილ მკვლელობაშია ეჭვმიტანილი.

სამართალდამცავების ინფორმაციით, დაკავებულს შესაძლოა 1999 წელს ჩადენილ მკვლელობასა და ქურდობასთანაც ჰქონდეს კავშირი. მაშინ თავდასხმის მსხვერპლი ავტომობილის მძღოლი გახდა.

ეჭვმიტანილი დიდი ხნის განმავლობაში სხვისი სახელით და გვარით ცხოვრობდა, მან გარეგნობაც შეიცვალა. დაკავებისას მას რომან ცინდელიანის სახელზე არსებული ყალბი პასპორტი აღმოაჩნდა.

სამართალდამცავების ინფორმაციით, სექტემბერში ვიბლიანის აშშ-ის ვიზას ვადა გაუვიდა, რის შედეგადაც მისი რუსეთში დეპორტაცია მოხდა, სადაც საბაჟოზე რუსმა სამართალდამცავებმა დააკავეს.

რუსული მედიის ცნობით, ქართველ სამართალდამცავებს დაკავებულის შესახებ ინფორმაცია უკვე ეცნობათ.

**მედიანიუსი**

# თბილისში ტრანსპორტი ისევ გაძვირდება!

ნათია ხურცილავა

***კონსერვატიული პარტიის წევრი ლაშა ჩხარტიშვილი არ გამორიცხავს, რომ ქვეყანაში შექმნილი სოციალური მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდეს, ისევ გაიზარდოს ფასები, მათ შორის ტრანსპორტზე.***

***ამ საკითხებზე „ახალ თაობას" ლაშა ჩხარტიშვილი ესაუბრა:***



*— შეიძლება ვთქვათ, რომ დევნილების გამოსახლების პროცესი შეჩერდა, რადგან აქტიურ ფაზაში შედის წინასაარჩევნო კამპანია?*

— სამწუხაროდ, სააკაშვილმა ხელი მოაწერა დევნილების ბარბაროსულ გამოსახლებას. „პიკის" ეთერის გახსნის დროს მან თქვა, რომ დევნილების ადგილი არ არის ადმინისტრაციულ შენობებში და იქ არ უნდა იზრდებოდნენ ბავშვები. ეს განცხადება პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა მის მიერ ადრეულ პერიოდში გაკეთებულ დაპირებებს, როდესაც ის უგულავასთან ერთად საუბრობდა იმაზე, რომ დევნილებს დაუკანონდებოდა ის საცხოვრებელი ადგილები, სადაც ისინი ცხოვრობდნენ მანამ, სანამ არ მოხდებოდა მათი დაბრუნება თავიანთ სახლკარში, ძირძველ ქართულ ტერიტორიაზე, რაც სააკაშვილის მმართველობის პირობებში სამწუხაროდ წარმოუდგენელია. სააკაშვილი უშუალო მონაწილე და მმართველია ყველა ძირითადი პროცესის, რადგან საქართველო ავტორიტარული სახელმწიფო დღეის მდგომარეობით, ამდენად, ბუნებრივია, რომ მის გარეშე ეს ვერ მოხდებოდა. მან აღიარა, რომ მისი დაკვეთით ასახლებდნენ დევნილებს. რაც შეეხება გაგრძელდება თუ არა დევნილების გამოსახლების პროცესი, სამწუხაროდ, ამ ეტაპზე ვერ შედგა დევნილების დიდი ერთობა, მაგრამ იმ მოქმედებებმა, რაც ჩვენ დევნილებთან ერთად განვახორციელეთ, ეს პროცესი შეაფერხა. რამდენჯერმე შევაჩერეთ კიდეც, მაგრამ საბოლოოდ ამ პროცესის შეჩერებაზე და პოლიტიკის ცვლილებაზე გავლენა ვერ მოვახდინეთ. იქიდან გამომდინარე, რომ ბევრმა დევნილმა ჩათვალა, რომ სახლში ჩუმად ჯდომა ჯობდა და იმ იმედზე ყოფნა, რომ ეს პროცესი მას რაღაცნაირად გვერდს აუვლიდა. ერთადერთი, ამ ეტაპზე შეიძლება თქმა, რომ წინასაარჩევნო პერიოდი დაიწყო და ამის იმედი შეიძლება ჰქონდეთ დევნილებს. ჩვენ, რა თქმა უნდა, ისევ გავაგრძელებთ აქტიურობას დევნილებთან ერთად მათი უფლებების დასაცავად. წინასაარჩევნო კამპანიის გათვალისწინებით შეიძლება სააკაშვილის რეჟიმი შედარებით რბილი, შედარებით ნაკლებად აგრესიული იყოს მათ მიმართ, ისევე, როგორც სხვა მოქალაქეების მიმართ. სააკაშვილი შეეცდება, რომ მათ დაავიწყოს ის დანაშაული, რომელიც ჩაიდინა ხუთი ათასამდე დევნილის წინააღმდეგ, თუმცა, გამორიცხული არაფერია, რადგან ვხედავთ, რომ თბილისთან მიმართებით ხელისუფლების აგრესიულ პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ ჩანს. მათრახისა და თაფლა კვერის პოლიტიკაზე თუ ვისაუბრებთ, ამ შემთხვევაში მათრახი უფრო აქტუალურია.

***— კონკრეტული მაგალითები რომ დაასახელოთ?***

— მაგალითად, გაძვირებული გადასახადები. ზაფხულში გაძვირებული ტრანსპორტის გადასახადი, რომელიც კვლავ გაძვირდება.

***— მიკროავტობუსებით მგზავრობა ისევ გაძვირდება?***

— დიახ, სავარაუდოდ, გაძვირდება. ერთადერთი, რამაც შეიძლება ეს პროცესი ამ წუთში შეაჩეროს, ეს არის არჩევნები ან საზოგადოების აქტიურობა, რომელიც ბოლო პერიოდში არ ჩანს. არ ჩანს სხვადასხვა მიზეზების გამო, მაგრამ ამას არანაირად არა აქვს გამართლება. რა პრობლემაც არ უნდა ყოფილიყო ამ ბრძოლაში, ბრძოლის შეწყვეტა ნიშნავს ყოველთვის უფრო მეტის დაკარგვას, შეიძლება ყველაფრის დაკარგვასაც კი. საშემოდგომო სიურპრიზები ისევ გრძელდება, მაგალითად, შეგვიძლია გავიხსენოთ საბავშვო ბაღებში გადასახადის დაწესება, რაც ხელისუფლების პირადი, მერკანტილური ინტერესებიდან გამომდინარე მაინც არ უნდა გაეკეთებინათ წინა საარჩევნო წელს, მაგრამ ეს გააკეთეს. ამდენად, გარანტია, რომ სააკაშვილი წინასაარჩევნოდ დატკბება, თბილისისთვის რთული სათქმელია. ყველამ ვიცით, რომ სააკაშვილს გარკვეულწილად თბილისზე ხელი აქვს ჩაქნეული, ვერ იტანს. სამწუხაროდ, ეზიზღება საქართველოს დედაქალაქი, ისევე, როგორც ზოგადად საქართველო, მაგრამ თბილისი განსაკუთრებით, რადგან თბილისი ინფორმირებული ქალაქია, სადაც ჯერ კიდევ შემორჩა თავისუფალი ელექტრონული მედია, ტელევიზიას ვგულისხმობ, რომელიც ხელმისაწვდომია მოქალაქეებისთვის, მასში მათ ფულის გადახდა არ უწევთ. აქედან გამომდინარეა, რომ შედარებით სააკაშვილის მიმართ რეალური დამოკიდებულება უფრო საღია თბილისში, ვიდრე სხვა რეგიონებში. გამონაკლისია გორი, სადაც მაუწყებლობს „თრიალეთი" და აჭარის ნაწილი, სადაც 25-ე არხი არსებობს. ვიმეორებ, არ ველი, რომ სააკაშვილი თავის პოლიტიკას შეარბილებს.

***— თუმცა, ჩვენ ვნახეთ პრეზიდენტის ინტერვიუ, რომელიც ტელეკომპანია „იმედის" ეთერში გავიდა. ამ ინტერვიუში პრეზიდენტმა თითქოს სინანულის განცდით ისაუბრა.***

— ეს ფსევდო სინანული ჩვენ გვახსოვს. გვახსოვს ნიანგის ცრემლები 2008 წლის არჩევნებზე. გვახსოვს გაერთიანებული ოპოზიციის წინასაარჩევნო კლიპი, სადაც ცნობილი კომედიიდან „ბლეფი", ჩელენტანოს მონაწილეობით იყო კადრები, როდესაც ვითომ ფულის დაკარგვის გამო ცხარე ცრემლებით ტირის ჩელენტანო. ამდენად, სააკაშვილის ასეთ ფსევდო მონანიებებს არაერთს ვნახავთ. ალბათ კიდევ ბევრს იტირებს სააკაშვილი, კიდევ ბევრჯერ მოინანიებს, რაც არაერთხელ გაუკეთებია. ვითომ მოუნანიებია და შემდეგ გაორმაგებული ძალებით იგივე გაუკეთებია. იმედი მაქვს, რომ სააკაშვილის ცრემლების აღარც თბილისს სჯერა და აღარც საქართველოს.

***— იქნებ რადიკალურად განსხვავებული პოლიტიკა მივიღოთ?***

— არა, როგორც ცნობილი ქართული გამოთქმაა „ძაღლის კუდი არ გასწორდების" და „კუდიანს მხოლოდ სამარე ასწორებს", ისე სამწუხაროდ არაერთხელ დავრწმუნდით, რომ მიხეილ სააკაშვილს, მიუხედავად იმისა, რომ მას მართლაც ბევრი შანსი ჰქონდა, რომ შეეცვალა საკუთარი დამოკიდებულება ხალხისადმი, სინდისისადმი, ქვეყნისადმი, მან ეს არ გააკეთა არც ერთი არჩევნების შემდეგ. მკვლელები არ უნდა ავირჩიოთ. პოლიტიკურ გემოვნებაზე საუბარი არ არის. შეიძლება ვინმეს მე არ მოვწონდე ან ოპოზიციის სხვა წარმომადგენელი, მაგრამ ფაქტია, რომ გემოვნების საკითხი არ არის ამ ხელისუფლების ისევ არჩევა. ადამიანებმა სინდისის წინააღმდეგ არ უნდა გაილაშქრონ. კარგად უნდა გვაიხსენოთ 26 მაისი და იქ დაღუპული ხალხი, გირგვლიანი, ვაზაგაშვილი, რობაქიძე, გამცემლიძე, ადამიანები, რომლებიც ამ ხელისუფლების პირობებში მოკვდნენ. ყველამ საკუთარ სინდისში უნდა ჩაიხედოს და ისე გააკეთოს არჩევანი. ვინც უნდათ ის აირჩიონ, მაგრამ კარგად გაიხსენონ ყველას წარსული.

***— არის მოსაზრება, რომ დენის გადასახადზე ნაგვის გადასახადის მიბმას წინასაარჩევნოდ პრეზიდენტი გააუქმებს. რამდენად რეალური შეიძლება იყოს?***

— მსგავსი დათმობები, თუნდაც ტაქტიკური, დამოკიდებულია საზოგადოების აქტიურობაზე.

***— აღარ არის საზოგადოება აქტიური, მაგრამ შეიძლება ეს არ ნიშნავს იმას, რომ მას ამის მიმართ პროტესტი არა აქვს.***

— სააკაშვილი იმდენს დათმობს, რამდენიც გაუჭირდება. რაც მეტი იქნება აქტიურობა, მით მეტი იქნება დათმობა, დამერწმუნეთ. ამ დათმობების ხარჯზე შეიძლება ბევრი ადამიანი გადარჩეს. ძალიან მძიმე სოციალური ფონია. ელემენტარულად ადამიანებს არა აქვთ ხელმისაწვდომობა ჯანდაცვაზე, სამედიცინო მომსახურებაზე, სწორედ იმიტომ, რომ არის მონოპოლიური და უსამართლო ფასები როგორც კომუნალურ მომსახურებაზე, მათი გადახდის წესი არის არანორმალური, ასევე სხვადასხვა პროდუქტებზე. ის არაფერს ნიშნავს, რომ ერთი მონოპოლისტი გეგენავა გააგდეს და მეორე მონოპოლისტი კეზერაშვილი შემოჰყავთ.

***— სად შემოჰყავთ?***

— სურსათის ბიზნესში თუ სხვა ბიზნესში. მონოპოლისტი გეგენავა იქნება, კეზერაშვილი თუ შარანგია, ამას ჩვენთვის, ხალხისთვის რა მნიშვნელობა აქვს? შარანგიაზე არსებობს ინფორმაცია, რომ თითქოს მან უნდა ჩაანაცვლოს გეგენავას მონოპოლია.

***— რატომ, რა მოხდა?***

— ეს არის ჩვეულებრივი გადანაწილება კრიმინალურ ბანდაში. ეტყობა, ვერ გაიყვეს მათ ასობით მილიონი და მილიარდზე მეტი თანხა, რომელიც ამ ერთმა დეპუტატმა მიიღო ოლიგარქობით. ერთ ოლიგარქს მეორე ჩაანაცვლებს, რასაც ადამიანებისთვის არაფერი მნიშვნელობა არა აქვს. შეიძლება გარდა გადანაწილებისა, ეს იყოს მოჩვენებითი დათმობა საზოგადოებისადმი, რომ თქვან: ოლიგარქი იყო და მოვიშორეთ. შეიძლება დაიჭირონ კიდეც, თუმცა, ამას ხალხისთვის, ვიმეორებ, პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს. არსებითად სისტემა არის დანაშაულებრივი. თევზი თავიდან ყარს. სანამ დამპალ თევზად გადაიქცევა ხელისუფლება და მისი თავი სააკაშვილი იქნება, მანამდე არსებითი ცვლილებები არ იქნება. ამიტომ ვამბობ, რომ ყოველდღიური ბრძოლა არის საჭირო კომუნალური გადასახადებისთვის, იმისთვის, რომ დევნილები არ გამოასახლონ, პოლიტპატიმრები იყვნენ განთავისუფლებული. თუნდაც იმისთვის, რომ ნაკლები ხე მოიჩეხოს თბილისში. თუმცა, მთავარი ის არის, რომ რამდენსაც არ უნდა მივაღწიოთ ამ ბრძოლაში, ეს უნდა იყოს საბოლოო ჯამში პოზიტიური საბოლოო გამარჯვებისთვის და არა პირიქით. ჩვენ არ უნდა მოვტყუვდეთ თუნდაც იმ დათმობებით, რომელიც შეიძლება ჩვენი ბრძოლის შედეგად იქნას მიღწეული.

## გლდანში ხანძარს მსხვერპლი მოჰყვა

გუშინ თბილისში, გლდანის II მიკრორაიონში, ხანძრის შედეგად ერთი ადამიანი დაიღუპა.

როგორც „მედიანიუსს" თბილისის საგანგებო სიტუაციების სამსახურიდან აცნობეს გარდაცვლილია 45 წლის ქალბატონი, რომელიც საცხოვრებელ ბინაში გაჩენილი ხანძრის დროს მეხუთე სართულიდან გადმოხტა, რაც სავარაუდოდ, მისი გარდაცვალების მიზეზი გახდა.

საგანგებო სიტუაციების სამსახურის განცხადებით, სახლში გარდაცვლილის დედა, 85 წლის ქალბატონიც იმყოფებოდა, რომელიც არ დაშავებულა.

ხანძრის შედეგად 15-20 კვადრატული მეტრის ფართობი დაიწვა.

ადგილზე ხუთი სახანძრო მანქანა და ორი სამაშველო ჯგუფი იმყოფებოდა.

**მედიანიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94–39–34
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ირაკლი ალასანია ბაჩო ახალაიას უწყებას თანამშრომლის მკვლელობაში ადანაშაულებს

შალვა ჯოხა ე



„თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი ირაკლი ალასანია თავდაცვის მინისტრ ბაჩო ახალაიასა და დაზვერვის დეპარტამენტის შეფ მეგის ქარდავას დასჯას მოითხოვს. ალასანია თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებს მათი ყოფილი თანამშრომლის, ომის ვეტერანის, 57 წლის სერგო თეთრაძის დაკავებასა და მკვლელობაში ადანაშაულებს. გუშინ ალასანია თავდაცვის სამინისტროს შენობასთან მივიდა და ამ ფაქტის შესახებ განცხადება იქ გააკეთა.

ალასანიას ინფორმაციით, სერგო თეთრაძე 17 სექტემბერს საკუთარ სახლში თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებმა დააკავეს. თეთრაძე სამინისტროში 2007 წლამდე მუშაობდა, მას მერე უწყებაში აღარ უმუშავია.

„თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა თეთრაძის სახლში ჩხრეკა დამსწრეების გარეშე ჩაატარეს. მათ სერგო თეთრაძე სახლიდან ჯაშუშობის ბრალდებით წაიყვანეს, რის შემდეგაც ეს ადამიანი 24 საათის განმავლობაში გამქრალი იყო. 24 სექტემბერს თეთრაძის ოჯახს გლდანის ციხიდან დაუკავშირდნენ და უთხრეს, რომ შეეძლოთ, გვამი სახლში წაესვენებინათ. ოფიციალური ვერსიით, სერგო თეთრაძე გულის შეტევით გარდაიცვალა, თუმცა მის ცხედარს დაზიანებების შენიღბვის კვალი აშკარად ეტყობოდა, რაც იმის ნიშანია, რომ საქმე პატიმრის მკვლელობასთან გვაქვს. მიუხედავად იმისა, რომ თავდაცვის სამინისტროში ბევრი ღირსეული ადამიანი მუშაობს, ამ უწყებას ჯალათების ჯგუფი ხელმძღვანელობს. თავისუფალი დემოკრატები არასდროს შეეგუებიან ამ ძალადობას და მოძალადეთა პასუხისგებაში მისაცემად კანონით მინიჭებულ უფლებებს გამოიყენებენ “, - განაცხადა ალასანიამ.

ალასანიამ თავდაცვის სამინისტროს თეთრაძის მკვლელობაში ეჭვმიტანილი პირების გამოვლენისკენ, ხოლო სასჯელაღსრულების დეპარტამენტს საქმეზე გამოძიების ჩატარებისკენ მოუწოდა. მან ასევე მიმართა მედიის წარმომადგენლებს, რომ ძალადობისა და შპიონომანიის მსხვერპლთა შესახებ ინფორმაცია ობიექტურად გააშუქონ, რადგან გამორიცხული არ არის, ხვალ იმავე ბრალდებით ნებისმიერ ადამიანს სასტიკად გაუსწორდნენ.

ალასანიას განცხადებას, რომელიც, როგორც გაირკვა, არა თეთრაძის ოჯახის, არამედ მისი მეზობლის ინფორმაციაზე დაყრდნობით გაკეთდა, გარდაცვლილის მეუღლე გამოეხმაურა. მარინა თეთრაძის თქმით, სამხედრო ოფიცრის ოჯახს თავდაცვის სამინისტროსთან პრეტენზიები არ აქვს.

„მეუღლეს ვერავინ დამიბრუნებს. მე არც ბრძოლის უნარი და არც პრეტენზიები მაქვს ვინმეს მიმართ. ნურავინ გამოიყენებს ჩემს ტრაგედიას თავისი ბინძური კამპანიისთვის“, - განაცხადა მარინა თეთრაძემ.

მარინა თეთრაძის განცხადებასთან დაკავშირებით ალასანიას პარტიაში ეჭვს გამოთქვამენ, რომ ეს შიშის შედეგია.

# მეთიუ ბრაიზა: „ვიკილიქსის“ მიერ გამოქვეყნებული მასალები ოფიციალური მოხსენებები არ არის



სამხრეთ კავკასიაში აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ყოფილი წარმომადგენლის და ამჟამად აზერბაიჯანში აშშ-ს ელჩ მეთიუ ბრაიზას მტკიცებით, „ვიკილიქსის“ მიერ გამოქვეყნებული მასალები სახელმწიფო დეპარტამენტისთვის განკუთვნილ ოფიციალურ მოხსენებებს არ წარმოადგენს.

როგორც მან ჟურნალისტის კითხვაზე, შეესაბამება თუ არა სიმართლეს ის, რაც „ვიკილიქსის“ მასალებში წერია, პასუხის გაცემისას განაცხადა, ზემოხსენებული მასალები მხოლოდ ამერიკელი დიპლომატების შეფასებები და რჩევებია.

„ეს არის დიპლომატების შეფასებები ქვეყნებში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. ეს ტელეგრამები აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტისთვის განკუთვნილი ოფიციალური მოხსენებები არ არის“, — განაცხადა ბრაიზამ.

**მედიანიუსი**

# მიხეილ სააკაშვილის დაცვის წევრი საუკეთესო მძღოლად დასახელდა

23-27 სექტემბერს უკრაინაში კერძოდ იალტაში გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატი პირადი მცველების შეჯიბრში.

ჩემპიონატში ჯგუფური პირველი ადგილი ბელორუსის პრეზიდენტის, ალექსანდრე ლუკაშენკოს დაცვის წევრებმა დაიკავეს.

რაც შეეხება ინდივიდუალურ შეჯიბრს, ხელჩართულ ბრძოლაში საუკეთესოს ტიტული ლუკაშენკოს დაცვის წევრმა ნიკოლაი შკრეგმა დაიმსახურა, საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის პირადი დაცვის წევრი რომან შეველაშვილი დაასახელდა საუკეთესოდ მანქანის ექსტრემალურ სიტუაციებში მართვაში, ხოლო უკრაინელმა ალექსანდრე სიდორჩუკმა ცეცხლსასროლი იარაღიდან სროლაში საუკეთესოს ტიტული მოიპოვა.

**მედიანიუსი**

# გარემოვაჭრეებს 7-7 დღით ციხეში ჩასვამენ

შალვა ჯოხა ე



**ეს სიახლე დედაქალაქის მასშტაბით ჯერ კიდევ არსებულ ათასობით გარემოვაჭრეს განსაკუთრებით არ მოეწონება. თუმცა, ხელისუფლება მათზე რომ არ ზრუნავს, თავადაც კარგად იციან. ოფიციალურმა უწყებებმა გარევაჭრობის აღმოსაფხვრელად კამპანია ბევრჯერ დაიწყეს, მაგრამ ქუჩაში მოვაჭრეთა არმია შესამჩნევად მაინც ვერ შეამცირეს. ახლა კი, თუ თბილისის ქუჩებიდან გარემოვაჭრეებს ვერ განდევნიან, მათი დაწიოკებით ბიუჯეტს მაინც შეავსებენ.**

საქმე ისაა, რომ ჩვენი პარლამენტარები დაჩქარებული წესით იხილავენ კანონპროექტს, რომლის მიხედვითაც გარემოვაჭრეებს სერიოზული სანქციები დაეკისრებათ. კერძოდ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შედის ცვილებები. კოდექსში შესატანი ცვლილებების ავტორები და ინიციატორები დეპუტატები — ანდრო ალავიძე, ვახტანგ ბალავაძე და კახაბერ ანჯაფარიძე არიან.

ერთი მნიშვნელოვანი დეტალი: ცოტა ხანში, გარემოვაჭრეების დაჯარიმების უფლება არა მხოლოდ პოლიციელებს ექნებათ, არამედ თბილისის თვითმმართველი ერთეულის შესაბამისი ორგანოების თანამშრომლებსაც, ანუ შეიძლება სამოქალაქო ფორმაში გამოწყობილი მერიის წარმომადგენელი მოვაჭრეს თავს წაადგეს და ჯარიმა მოსთხოვოს. აღსანიშნავია ისიც, რომ გარემოვაჭრის მთელი საქონელი ყოველ მიზეზ გარეშე ჩამორთმევას დაექვემდებარება.

ჩვენ ხელში იმ კანონის პროექტი ჩაგვივარდა, რომელიც მართლაც დაჩქარებული მეთოდით გადის პარლამენტში, მას მალე მიიღებენ და აამოქმედებენ კიდეც.

„1. თბილისის თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე გარევაჭრობა შესაბამისი ნებართვის გარეშე გამოიწვევს ფიზიკური ანდა იურიდიული პირის დაჯარიმებას 20 ლარით, სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით; 2. იგივე ქმედება, რომელიც დაკავშირებულია შესაბამისი ორგანოს უფლებამოსილი პირის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობასთან, გამოიწვევს დაჯარიმებას 50 ლარით სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 7 დღემდე ვადით, სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით; 3. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა განმეორებით, გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარით, სამართალდარღევის საგნის კონფისკაციით“, — ვკითხულობთ კანონპროექტში.

შესაძლოა, გარემოვაჭრეების უმრავლესობა დაუმორჩილებლობის ბრალდებით ეგრევე მძიმე სანქციით დასაჯონ, რადგანაც, კანონპროექტის ავტორების განმარტების მიხედვით, ადვილია, ადამიანი ასეთ დაუმორჩილებლობაში დაადანაშაულო. ალავიძე-ბალავაძე-ანჯაფარიძე აცხადებენ, რომ დაუმორჩილებლობა იმას გულისხმობს, როცა გარემოვაჭრე ოფიციალურ პირს პირადობის დამადასტურებელ მოწმობას ან საიდენტიფიკაციო სხვა მონაცემს არ წარუდგენს; ოფიციალური პირის სიტყვიერ მითითებას არ შეასრულებს და ვაჭრობას განაგრძობს.

ალავიძე-ბალავაძე-ანჯაფარიძე ასეთი სიახლეების დანერგვის მიზეზად კეთილშობილურ მისიას ასახელებენ. მათი თქმით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის იმ ნორმების დახვეწა სურთ, რომლებიც შესაბამისი ნებართვის გარეშე გარევაჭრობისათვის პასუხისმგებლობას ადგენს. ასევე, დაჯარიმებისა და ოქმის გაფორმებისას არსებული რთული პროცედურის გამარტივებასა და მათი ეფექტურობის გაზრდა სურთ.

„კანონპროექტის მიღების მიზანია, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში განხორციელდეს ცვლილებები, რომლის მიხედვითაც სამართალდამცავი ორგანოები, ასევე თბილისის თვითმმართველი ერთეულის შესაბამისი ორგანოები უფლებამოსილნი იქნებიან, თბილისის ტერიტორიაზე გარევაჭრობისათვის (შესაბამისი ნებართვის გარეშე) სამართალდამრღვევი ფიზიკური ან იურიდიული პირი დააჯარიმონ. ცვლილებით განისაზღვრება ჯარიმის განსხვავებული (ფიქსირებული) ოდენობა, ჯარიმის დაკისრებისა და სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციის პირობები, უფლებამოსილი პირისადმი დაუმორჩილებლობის შემთხვევაში სამართალდამრღვევის მიმართ გამოსაყენებელი პასუხისმგებლობის ფორმები.

ასევე, კანონპროექტის მიზანია, თბილისის ტერიტორიაზე დადგინდეს გარე ვაჭრობისათვის სამართალდამრღვევის დაჯარიმების პროცედურები. კერძოდ, უფლებამოსილი ორგანოს წარმომადგენლები ადგილზევე დააჯარიმებენ სამართალდამრღვევს, ხოლო კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში კი სასამართლო უფლებამოსილი იქნება სამართალდამრღვევს ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდოს.

ცვლილებით, სამართალდამცავი და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები (ან მათ მიერ უფლებამოსილი ფიზიკური ანდა იურიდიული პირი) იძენენ უფლებას, სამართალდამრღვევ პირს ადგილზევე შეუფარდონ ჯარიმა და მოახდინონ სამართალდარღვევის საგნის კონფისკაცია, რითაც ეფექტური გახდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ფაქტობრივი განხილვა, ვინაიდან სამართალდამრღვევს ადგილზევე დაეკისრება ადმინისტრაციული სახდელი (გამოეწერება საჯარიმო ქვითარი, რომელიც იმავდროულად ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს წარმოადგენს).

ცვლილებით განისაზღვრება დაუმორჩილებლობისათვის პასუხისმგებლობაც — ადმინისტრაციული პატიმრობის სახით, რომელსაც, როგორც აღვნიშნეთ, სამარათალდამრღვევს სასამართლო შეუფარდებს“, — აცხადებენ პარლამენტარები და სიამაყით დასძენენ, რომ მათ მიერ ინიცირებული სიახლე ბიუჯეტიდან არანაირი დამატებითი ხარჯის გამოყოფას არ გულისხმობს. თუმცა, თავმდაბლობენ და არ აღნიშნავენ, რომ ახალი სანქციების მეშვეობით, ბიუჯეტი პირიქით, შეივსება. ცხადია, ეს ასე იქნება, რადგან, ერთი მხრივ, ჯარიმებია დაწესებული, მეორე მხრივ კი, მოვაჭრისათვის ჩამორთმეული ქონებაც სახელმწიფოს რჩება. დეპუტატები აცხადებენ, რომ

კონფისკაციისას ქონება თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში გადადის. ჩამორთმეული ქონების განკარგვის წესს კი დედაქალაქის მთავრობა ადგენს, ანუ რაშიც უნდა, იმაში გამოიყენებს.

ჩვენ სადგურის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე „მომუშავე“ გარემოვაჭრეებს მოსალოდნელი სანქციების შესახებ ვაცობეთ და მათი მოსაზრებით დავინტერესდით. როგორც ისინი ამბობენ, პოლიციის მხრიდან შევიწროებას ახლაც განიცდიან და თუკი პატრულის თანამშრომლებს სამოქალაქო ფორმაში გამოწყობილი დამსჯელი რაზმებიც დაემატება, ეს გარემოვაჭრეებს მძიმე მდგომარეობაში ჩააგდებს.

— რა თქმა უნდა, დაპატიმრების შიში გვაიძულებს, ან ვაჭრობა შევწყვიტოთ და ოჯახები შიმშილით ამოვწყვიტოთ, ან ასე შეშინებულებმა ვატაროთ ჩვენი დახლები აქეთ-იქით, სადაც ნაკლები საშიშროება იქნება. თუმცა, დაჯარიმება და დაჭერა თუ მოგვინდომეს, ხელს რა შეუშლით! ისე, პოლიციელები ახლაც გვავიწროვებენ, გვიყვირიან, გვამცირებენ. რამდენჯერ ყოფილა, რომ მოვაჭრეებისთვის დახლი ამოუტრიალებიათ და საქონელი გაუფუჭებიათ. გვეუბნებიან, რომ სადმე, ბაზრებში დავსაქმდეთ, მაგრამ ჩვენ ისეთ ადგილას გვინდა ვივაჭროთ, სადაც ბევრი ხალხი ტრიალებს, როგორიც ეს მოედანია. აბა, საქონელი თუ ვერ გავყიდეთ, ქუჩაში ტყუილად დგომა კი არ გვსიამოვნებს. პატრული რომ გამოჩნდება ხოლმე, ქალები წამოვიშლებით და დახლებს ცოტა ხნით ვტოვებთ კიდეც, შორიახლოდან ვუთვალთვალებთ, რა მოხდება, თორემ მაგათი მუჯლუგუნების ატანა სად შეგვიძლია, — გვითხრა ერთ-ერთმა გარემოვაჭრემ.

სხვათა შორის, ასეთი ფაქტები რომ ძალიან ხშირია, ეს კანონპროექტის ავტორებმაც იციან და ოფიციალურ დოკუმენტში ეს დეტალიც გამოიყენეს.

„მუხლის პირველი და მესამე ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის აღმოჩენისას თუ ვერ დგინდება სამართალდამრღვევი პირი, უნებართვო გარე ვაჭრობის საგნები ექვემდებარება კონფისკაციას“, — აღნიშნულია კანონპროექტში.

# ჯონდი ბაღათურია დიმიტრი შაშკინის პარლამენტში მისვლას ითხოვს

პოლიტიკური პარტია „ქართული დასის“ ლიდერი, საპარლამენტო ფრაქციის — „ერთობა სამართლიანობისათვის“ წევრი, დეპუტატი ჯონდო ბაღათურია აცხადებს, რომ განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი წვრილ ფეოდალებთან ბრძოლაში დამარცხდა.

როგორც მან ბრიფინგზე განაცხადა, ლაპარაკია მარტვილის რაიონის სოფელ ლეციცხვაიას სკოლაზე, რომლის გაუქმება და სოფელ ხუნწის სკოლასთან მიერთება იყო დაგეგმილი. ეს ბრძანება დიმიტრი შაშკინმა შეაჩერა, მაგრამ გუშინ აღიარა, რომ „ადგილობრივ ფეოდალებთან ბრძოლაში“ დამარცხდა და ხსენებული ბრძანება განაახლა.

დეპუტატის ინფორმაციით, მარტვილის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი სამეგრელო-ზემო სვანეთში პრეზიდენტის რწმუნებულ ზაზა გოროზიას მასწავლებელია, რომელმაც ხუნწის სკოლის დირექტორად საკუთარი ბიძაშვილი დანიშნა და მას ლობირებს კიდეც.

ბაღათურიას განცხადებით, ლეციცხვაიას სკოლის ხუნწის სკოლასთან მიერთება ყოველგვარი პრინციპის დარღვევით ხდება. კერძოდ, აღნიშნულ სკოლაში 104 მოსწავლე სწავლობს, ხუნწისაში № 70, ლეციცხვაიას სკოლას აქვს მაღალი აკადემიური მოსწრება, მისი მოსწავლეები არიან სხვადასხვა ტურნირის პრიზიორები, მისი კურსდამთავრებულები წარმატებით ირიცხებიან უმაღლეს სასწავლებლებში და,



რაც მთავარია, იგი 2008 წლის აგვისტოს ომში გმირულად დაღუპულ გელა ჭედიას სახელს ატარებს, რომელიც თავის დროზე ამავე სკოლაში სწავლობდა. ამდენად, მისი მაგალითი თაობებისათვის კარგ მაგალითად უნდა იქცეს და მისი სახელობის სკოლის არსებობა ღირსების საკითხია.

ჯონდო ბაღათურიას თქმით, ხსენებული სკოლისა და, საერთოდ, განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესებზე დეპუტატებს ინფორმაცია განათლების მინისტრმა პირადად უნდა გააცნოს. ამ მიზნით იგი ფრაქციის პარასკევისთვის დაგეგმილ სხდომაზე პარლამენტში დიმიტრი შაშკინს იბარებს.

**მედიანიუსი**

# საქართველოში ყველაფერი გასაიდუმლოებულია

შორენა კოწოწაშვილი

ინფორმაციის დღესთან დაკავშირებით გუშინ არაერთი ორგანიზაციის მხრიდან გაკეთდა განცხადებები იმის თაობაზე, რომ სააკაშვილის ხელიხუფლების პირობებში მაქსიმალურად დაიხურა საჯარო ინფორმაცია და რომ ხელისუფლების გავლენიანი მაღალჩინოსნები ისეთ ინფორმაციებს მალავენ, რომელიც, წესით, ნებისმიერი დაინტერესებული მოქალაქისთვის ღია და ხელმისაწვდომი უნდა იყოს.



ინფორმაციის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა თინა ხიდაშელმა სპეციალური პრესკონფერენცია გამართა და ინფორმაციის საჯაროობის კუთხით არსებული ვითარებას უპრეცედენტოდ მძიმე უწოდა.

— 28 სექტემბერი ინფორმაციის საერთაშორისო დღეა. ამიტომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს ხელისუფლებას შევახსენოთ, რომ მოქალაქეებს უფლება აქვთ იცოდნენ ყველაფერი საკუთარი ქვეყნის, სოფლებისა და ქალაქების ბიუჯეტის შესახებ. ვარდების რევოლუციის შემდეგ საქართველოში ინფორმაციის გასაიდუმლოებამ, ხელისუფლების მხრიდან ინფორმაციის თავისუფლების მოთხოვნების უგულებელყოფამ უპრეცედენტო ხასიათი მიიღო. ერთადერთი მიზეზი, რომელსაც მსოფლიო პრაქტიკა თანამდებობის მიერ ინფორმაციის დამალვისას იცნობს, კორუფციული გარიგებებია, — განაცხადა თინა ხიდაშელმა.

რესპუბლიკური პარტიის წევრს და დედაქალაქის საქმეთა მდივანს აინტერესებს, რატომ მალავს ქალაქ თბილისის მერი მუდმივად ინფორმაციას ბიუჯეტიდან დახარჯული თანხების შესახებ; რა იმალება ამ მილიონების უკან, რომელიც თავმოყრილია საბიუჯეტო მუხლებში; რატომ ხდება საბიუჯეტო თანხების დიდი ნაწილის ფონდების საშუალებით განკარგვა?

— ეს და კიდევ ბევრი სხვა კითხვა პასუხგაუცემელი რჩება და სერიოზული პრობლემების წყაროა, რომელიც საბოლოოდ კოროფციულ გარიგებამდე მიდის, — აცხადებს თინა ხიდაშელი. მისი თქმით, ერთი წლის მანძილზე მუდმივად უპასუხოდ რჩება წერილები, სადაც ქალაქის მერის, გიგი უგულავას მიერ სარეზერვო ფონდიდან ფულის განკარგვის შესახებ ინფორმაციას ვითხოვთ.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, უპასუხოდ რჩება კითხვები აგრეთვე მომსახურების სფეროში ხარჯებისა და შემოსავლების შესახებ. მაგალითად, ბოლო დასუფთავების გადასახადის შესახებ; საბავშვო ბაღებში გადასახადის შემოღების მიზეზების შესახებ; სხვადასხვა გასართობი ღონისძიებების შესახებ და ა.შ.

— კიდევ უფრო დიდი პრობლემაა, როცა პასუხს ფორმალურად გვაწვდიან. პასუხი ან ზოგადი და არაფრისმთქმელია, ან უბრალოდ, სიმართლეს არ შეესაბამება. ამის საუკეთესო მაგალითი იყო შარშანდელი ახალი წლის ხარჯების შესახებ მოწოდებული ინფორმაცია, როდესაც მერიის მიერ მოწოდებული თანხა მინიმუმ 3-ჯერ ნაკლები იყო, ვიდრე ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტებით დადასტურებული თბილისის საახალწლო ხარჯები. სამწუხაროდ, ვითარებას კიდევ უფრო ამძიმებს სასამართლოების დამოკიდებულება ინფორმაციის თავისუფლების მიმართ. ჩვენ ვცხოვრობთ ქვეყანაში, სადაც ინფორმაციის გასაიდუმლოება კომიკურ ხასიათს იძენს, — განაცხადა თინა ხიდაშელმა. მისი თქმით, გასაიდუმლოებულია ინფორმაცია ქვეყნის პრეზიდენტის სასახლის ხარჯების შესახებ; გასაიდუმლოებულია ყოველგვარი ინფორმაცია თბილისის წყლის შესახებ, რომელსაც მოსახლეობა იყენებს; გასაიდუმლოებულია ინფორმაცია ყველა იმ ხარჯის შესახებ, რომელიც თბილისში მიმდინარე მშენებლობებს და აღდგენით სამუშაოებს ეხება; აგრეთვე გასაიდუმლოებულია ინფორმაცია მოსახლეობისაგან დამატებით ამოღებული გადასახადების შესახებ 2011 წელს გაზრდილი ტარიფების ფონზე.

რესპუბლიკური პარტიის წევრმა გუშინვე თბილისის მერიისგან ოფიციალურად მოითხოვა საჯარო ინფორმაცია მერის სარეზერვო ფონდიდან ფულის განკარგვის შესახებ.

# რა მოხდა რუსთავის მე-17 საპატიმროში და რატომ დატოვა თანამდებობა საპატიმროს უფროსმა?

ქეთი ხომერიკი



კალმახელიძეს უწყებაში პატიმრების ცემა-წამება ჩვეულად გრძელდება, განმკითხავი კი არავინაა. რამდენიმე დღის წინ პატიმართა უმოწყალოდ ცემის კიდევ ერთი ფაქტი დაფიქსირდა. რუსთავის ავად სახსენებელ მე-17 საპატიმრო დაწესებულებაში საპატიმროს დირექტორმა ლაშა ბრეგვაძემ მსჯავრდებულ ილგარ მამედ ზადეს სასტიკად სცემა, რამდენიმე დღეში კი აღნიშნული თანამდებობა დატოვა. რა გახდა ამ უპრეცედენტო შემთხვევის მიზეზი? საპატიმროს უფროსი ამ ამბავს გადააყოლეს? მოდით, მივყვეთ თანმიმდევრულად.

15 სექტემბერს რუსთავის მე-17 საპატიმრო დაწესებულებაში დიდ აურზაურს და შეხლა-შემოხლას ჰქონდა ადგილი, რაც ერთ-ერთი მსჯავრდებულის ცემის ფაქტს მოჰყვა. კერძოდ, მსჯავრდებული ილგარ მამედ ზადე, რომელიც სასჯელს იარაღის უკანონო ტარებისა და ნარკოტიკული ნივთიერების შენახვის გამო იხდის, რუსთავის მე-17 საპატიმრო დაწესებულების დირექტორმა, ლაშა ბრეგვაძემ და მისმა მოადგილემ, დავით ბუხრაშვილმა, ადმინისტრაციის 6-7 თანამშრომელთან ერთად უმოწყალოდ სცემეს. როგორც თედო კობახიძემ, მამედ ზადეს ადვოკატმა მედიასთან საუბრისას განაცხადა, მისი დაცვის ქვეშ მყოფს ტყუილ-უბრალოდ სცემეს. კობახიძის თქმით, ბრეგვაძის გაღიზიანება-გაცეცხლება შემდეგმა გამოიწვია: ილგარმა ციხის ახალ თანამშრომელს სახელი ჰკითხა, ამის შემდეგ კი ციხის უფროსმა მას უთხრა, როგორ გაბედე სახელის კითხვაო, აიყვანა კაბინეტში გინებით, მოიხსნა საათი, სათვალე, დადო მაგიდაზე და დაუწყო ცემა. „პატიმარი ეუბნებოდა ბრეგვაძეს, რომ ჯანმრთელობის პრობლემა, ტრავმები ჰქონდა და ეს ყველაფერი შეიძლება ლეტალური შედეგით დამთავრებულიყო, თუმცა ბრეგვაძე მის ცემას მაინც განაგრძობდა“, — განაცხადა, კობახიძემ.

პატიმრებს რომ უმიზეზოდ სცემენ, სამწუხაროდ, ეს არახალია და არც გაგვკვირვებია. ჩვენი, ასე ვთქვათ, გაოცება სულ სხვა რამემ გამოიწვია. ჩვენი კონფიდენციალური წყაროს თქმით, ბოლო პერიოდია პატიმრებს აკრძალული აქვთ, საპატიმროს თანამშრომლის სახელით რომ მიმართონ, მას უნდა მიმართო ასე — ბატონო კონტროლიორო. ასეთია რეჟიმის სურვილი, ეს მათ ტვინში მოიხარშა და რას იზამ. პატიმრებს, ბუნებრივია, მათთვის ბატონი კონტროლიორის დაძახება უჭირთ და ამას ხშირ შემთხვევაში მსგავსი შედეგი მოჰყვება ხოლმე, თუმცა, მოდით, მამედ ზადეს საქმეს დავუბრუნდეთ. ადვოკატმა თავის დაცვის ქვეშ მყოფის ცემის ფაქტი თავად პატიმრისგან შეიტყო. მამედ ზადემ სახალხო დამცველის სახელზე განცხადება დაწერა, სადაც დეტალურადაა აღწერილი ყველაფერი, რომელიც 16 სექტემბერს კობახიძეს გამოატანა.

მამედ ზადეს სასტიკად ცემის ფაქტს კი, საპატიმროში დიდი გაწევ-გამოწევა, ერთი ამბავი მოჰყვა. 21 სექტემბერს პატიმრებმა ის ე. წ. მაყურებლები სცემეს, რომლებმაც დაწერეს, რომ მამედ ზადემ 15 სექტემბერს თვითდაზიანებები მიიყენა. ის პატიმრები, რომლებმაც ე. წ. მაყურებლები სცემეს, არეულობის შემდეგ სხვადასხვა საპყრობილეებში გადაანაწილეს. ჩვენი წყაროს ინფორმაციით, იმ პატიმართა ნაწილი, რომლებიც სიკვდილამდე არიან ნაცემი, რუსთავის მე-6 საპატიმროში გადაიყვანეს. რუსთავის მე-17 საპატიმროში კი კვლავ დაძაბული მდგომარეობაა და უსაფრთხოების ზომები გამკაცრებულია.

ამ ფაქტიდან რამდენიმე დღეში კი გავრცელდა ინფორმაცია, რომ ქალაქ რუსთავის მე-17 საპატიმრო დაწესებულების უფროსმა, ლაშა ბრეგვაძემ თანამდებობა დატოვა. თედო კობახიძის ინფორმაციითაც, ლაშა ბრეგვაძემ აღნიშნული თანამდებობა დატოვა, თუმცა ხელისუფლების შესაბამისი სტრუქტურები ამ ფაქტს მალავენ. ასევე ვრცელდება ინფორმაცია, რომ მას ქსნის საპატიმროს უფროსის ადგილს სთავაზობენ. გავრცელებული ინფორმაციით, ბრეგვაძე ამ ამბავს გადაჰყვა, თუმცა ჩვენი კონფიდენციალური წყაროს ცნობით, ბრეგვაძესთვის ყური არავის აუწევია, მან თანამდებობა თავისი ნება-სურვილით დატოვა. რაოდენ გასაკვირიც

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# სპილოს ეშვზე მონადირე მღებრიშვილი ციხეში ჩასვეს

შალვა ჯოხა ძე

**ქურდობის ეს უცნაური ფაქტი დღემდე არ გახმაურებულა, თბილისის საქალაქო სასამართლომ კი დაკავებული უკვე გაასამართლა და მას განაჩენიც გამოუტანა. დანაშაული, რომლის შესახებაც გიამბობთ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოხდა. დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული 27 წლის ბორის მღებრიშვილია.**

თბილისის საქალაქო სასამართლოდან იუწყებიან, რომ სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ ამ დღეებში ბორის მღებრიშვილის საქმის განხილვა დაასრულა. მღებრიშვილს წინასწარ განზრახულ დანაშაულში დასდეს ბრალი, რომელიც მან ჯგუფთან ერთად ჩაიდინა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ საბოლოოდ, ქურდობა ვერ შედგა და მღებრიშვილიც დანაშაულის მცდელობის ბრალდებით წარდგა სასამართლოს წინაშე.

საქმის მასალების მიხედვით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმში მიმდინარე სარემონტო სამუშაოების გამო, იქ განთავსებული ზოოლოგიური ექსპონატები დროებით თსუ-ს მე-11 კორპუსის აუდიტორიებში გადაიტანეს. ბორის მღებრიშვილი ამ ყველაფრის უშუალო მონაწილე იყო, ის მუშა გახლდათ და ექსპონატები თანამშრომლებთან ერთად თავად გადაჰქონდა.



ვერ გეტყვით, რატომ, მაგრამ ბორის მღებრიშვილს ცხოველების ჩონჩხებისა და ფიტულების მოპარვა მოუნდა. მას ამ საქმეში თანამზრახველებიც ჰყავდა, რომელთა ვინაობაც სამართალდამცავებმა ვერ დაადგინეს. წელს, 3 თებერვალს, გვიან ღამით ბრალდებულმა თანამზრახველთა დახმარებით უნივერსიტეტის კორპუსში უკანონოდ შეაღწია. თუმცა, თსუ-ს დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის ინსპექტორებმა ბოროტმოქმედები დროულად შეამჩნიეს და საპატრულო პოლიცია გამოიძახეს. პოლიციელების მისვლამდე ბორის მღებრიშვილმა კორპუსის კედელზე დაშვებულ თოკზე აცოცება და ამ გზით მიმალვა სცადა, რაც ვერ მოახერხა. საბოლოოდ, ის სარდაფში დაიმალა. სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა მღებრიშვილი სწორედ სარდაფში დააკავეს. დაკავებისას მღებრიშვილმა განაცხადა, რომ ყველაზე ძალიან სპილოს ეშვის ექსპონატის მოპარვა უნდოდა.

ღია სასამართლო სხდომაზე, საქმის არსებითი განხილვისას, ბორის მღებრიშვილმა ფაქტობრივად აღიარა წარდგენილი ბრალდება, თუმცა აღნიშნა, რომ დანაშაული მარტომ ჩაიდინა. მღებრიშვილის დამნაშავეობა შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით, ამოღებული ნივთმტკიცებით, მოწმეთა და დაზარალებულთა ჩვენებებით და საქმეში არსებულ სხვა უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობითაც დადასტურდა. თბილისის საქალაქო სასამართლომ ბორის მღებრიშვილი წარდგენილ ბრალდებაში დამნაშავედ ცნო და მას 5-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა.

## დასაქმების სააგენტოების ასოციაცია ქცევის კოდექსზე ხელს მოაწერს

სასტუმრო შერატონ მეტეხი პალასში იმართება კერძო დასაქმების სააგენტოების ასოციაციის სემინარი ასოციაციის ქცევის კოდექსის ხელმოწერასთან დაკავშირებით.

როგორც „მედიანიუსს“ დასაქმების სააგენტოების ასოციაციიდან აცნობეს, გაერთიანება ჩამოყალიბდა მიმდინარე წელს კერძო დასაქმების სააგენტოების და დასაქმების სფეროში მომუშავე ფიზიკური პირების მიერ და მიზნად ისახავს სამსახურის მაძიებელთათვის დასაქმების სფეროში კონსულტაციის გაწევას, ვაკანსიების მოძიებისას დახმარებას, საქართველოში და უცხოეთში დასაქმებისას შრომით პირობებში და უფლებებში გარკვევას და რესურს ცენტრის ფუნქციის შესრულებას სამსახურის მაძიებელთათვის, როგორც პროფესიის არჩევის, ასევე სათანადო პროფესიული განათლების მიღებისას. დასაქმების სააგენტოების ასოციაცია ჩართული იქნება ცირკულარი მიგრაციის და რეინტეგრაციის საკითხებში.

ზოგადად ასოციაციის საქმიანობა მიმართული იქნება დასაქმების სფეროში პროფესიული საქმიანობის მაღალი სტანდარტების დანერგვისაკენ.

ქცევის კოდექსი იმის დასტურია, რომ დასაქმების სააგენტოების ასოციაციის წევრები აღიარებენ და ემორჩილებიან ეთიკის, სამართლიანობის, პროფესიული საქმიანობის სწორად წარმართვის პრინციპებს და საკუთარ ბიზნესს მართავენ ამ პრინციპების დაცვით.

მედიანიუსი

## სამგორის რაიონის ნაწილს ელექტრომომარაგება დროებით შეეზღუდება

სარემონტო სამუშაოების გამო 29 სექტემბერს 10 საათიდან 16 საათამდე სამგორის რაიონის ნაწილს ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეეზღუდება.

შეზღუდვა შეეხება: მოსკოვის გამზირის, ლილოს დასახლების, ორხევის დასახლების, ვარკეთილის მასივის VI, VII, VIII კვარტალის, ჭიჭინაძის, ენუქიძის, ხომლელის, კალოუბნის, ქიზიყის და მიმდებარე ქუჩების მაცხოვრებლებს.

სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ აბონენტებს ელექტრომომარაგება აღუდგება.

მედიანიუსი

## სოფელ ჭაბუკიანში მოსახლეობა ყურძენზე დაბალ ფასს აპროტესტებს



ლაგოდეხის რაიონის, აფენის თემში შემავალ სოფელ ჭაბუკიანში მოსახლეობამ ყურძენზე დაბალი ფასი გააპროტესტა. ადგილობრივთა უკმაყოფილება ქარხნების მიერ შეთავაზებულმა პირობებმა გამოიწვია. კერძოდ, მათ ყურძენში იმის მიხედვით უხდიან, თუ რამდენად შაქრიანია მოსავალი. ეს კი მათთვის მიუღებელია, — იუწყება რადიო „ჰერეთი“.

მოსახლეობის თქმით, წელს ყურძენს ისედაც დაბალი ფასი აქვს და შეთავაზებული პირობები მიუღებელია.

სოფელ აფენის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის თინა ყაველაშვილის განცხადებით, ისინი მოსახლეობას რაიონის ხელმძღვანელ პირებთან ერთად შეხვდნენ და შესაძლებლობების ფარგლებში დაეხმარებიან.

„ყურძნის ფასს ღვინის ქარხნები თავად ადგენენ. ჩვენ შეგვიძლია რომ მათ შუამდგომლობა გავუწიოთ და საკითხი ზემდგომებთან დავაყენოთ. შესაძლოა პირობები გაუმჯობესდეს“, — განაცხადა თინა ყაველაშვილმა.

მედიანიუსი

## მსოფლიოში ნავთობი გაძვირდა

მსოფლიოს წამყვან ბირჟებზე ნავთობი გაძვირდა. საქართველოს ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის ინფორმაციით, ლონდონის სანავთობო ბირჟაზე ბრინთ ქრად ტიპის ნავთობის ფასმა ერთ ბარელზე 3,20 აშშ დოლარით მოიმატა და 107,14 დოლარი შეადგინა.

ნიუ-იორკის ბირჟაზე კი ლაით სვიჩ ქრად ტიპის ნავთობის ღირებულება ერთ ბარელზე 4,21 აშშ დოლარით გაიზარდა და 84,45 დოლარს გაუტოლდა.

მედიანიუსი

## უფლებადამცველებმა შალვა რამიშვილის დაკავებასთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელეს



**უფლებადამცველებმა 25 სექტემბერს კახეთში, პრეზიდენტ სააკაშვილის ვენახში ჟურნალისტ შალვა რამიშვილის დაკავების ფაქტთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელეს.**

უფლებადამცველთა თქმით, სამხარეო პოლიციის თანამშრომელთა მიერ ჩადენილი ქმედება, კერძოდ, ჟურნალისტ შალვა რამიშვილისთვის აპარატურის ჩამორთმევა, არის სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი დანაშაული და კვალიფიცირდება, როგორც ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლა.

„პოლიციის თანამშრომლები, რომლებიც არ ასახელებდნენ საკუთარ ვინაობას და თანამდებობას, უღირსად იქცეოდნენ და არღვევდნენ პოლიციის შესახებ კანონს. გამოხატავდნენ აშკარა უპატივცემულობას, ცინიზმს და კანონზე მაღლა აყენებდნენ იმ კონკრეტულ პოლიტიკურ დავალებას, რომლებსაც სატელეფონო საუბრებით იღებდნენ“, — განაცხადეს უფლებადამცველებმა.

უფლებადამცველები მომხდარს სიტყვის თავისუფლებაზე ზეწოლად და ჟურნალისტის საქმიანობისთვის ხელის შეშლად აფასებენ. ისინი ითხოვენ, დაიწყოს აღნიშნულ ფაქტზე გამოძიება იმ პირთა მიმართ, რომლებმაც 25 სექტემბერს ჟურნალისტ შალვა რამიშვილისადმი უკანონო ქმედება ჩაიდინეს და რომლებიც საჯაროდ გავრცელებულ კადრებში კარგად ჩანან; ასევე უფლებადამცველები მოითხოვენ, ჟურნალისტისთვის ჩამორთმეული მასალის დაბრუნებას.

განცხადებას ხელს აწერენ სამოქალაქო მოძრაობის „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“ ლიდერი ეკა ბესელია, ასოციაციის „სამართალი და თავისუფლება“ თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილმა, „ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრის“ თავმჯდომარე უჩა ნანუაშვილმა, „ყოფილი პატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ ხელმძღვანელი ნანა კაკაბაძე, „კანონი ხალხისთვის“ ხელმძღვანელია ზაქარია ქუცნაშვილი, „პატიმართა დახმარების საქველმოქმედო ფონდის“ წარმომადგენელი თეკლა ხუციშვილი, „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დაცვის ასოციაციის“ წარმომადგენელი ვლადიმერ მაჭარაშვილი, საზოგადოებრივი დამცველი ირინა ფუტკარაძე და მოძრაობა „არა!“-ს ლიდერი ლევან ჩიტაძე.

ცნობისთვის: ლევან რამიშვილი სამართალდამცავებმა იმავე დღეს, მალევე გაათავისუფლეს.

**მედიანიუსი**

## ნესტან კირთაძე ევროკავშირის ელჩს შეხვდა



საქართველოს ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ნესტან კირთაძის ევროკავშირის ელჩს და დელეგაციის ხელმძღვანელს საქართველოში, ფილიპ დიმიტროვს შეხვდა.

ნესტან კირთაძემ ევროკავშირის ელჩს გააცნო საქართველოს ლეიბორისტული პარტიის ინიციატივები, მათ შორის მიმართვა აფხაზი ხალხისადმი ორმხრივი დიალოგის დაწყებასთან დაკავშირებით, აგრეთვე, ის საარჩევნო ინიციატივები და წინადადებები, რომლებიც საკანონმდებლო დონეზე უნდა განხორციელდეს და არის შესაძლებლობა საქართველოში თავისუფალი არჩევნების შესახებ.

როგორც „მედიანიუსს“ ლეიბორისტული პარტიიდან აცნობეს, შეხვედრაზე მხარეებმა ისაუბრეს „ქართველი ხალხისათვის მტკივნეულ საკითხებს. დაისახა მომავალი, კიდევ უფრო მჭიდრო თანამშრომლობის გზები“.

**მედიანიუსი**

# 410 დღის განმავლობაში სოხუმის აღება ვერ შეძლეს

გულიკო ბალა ე

## ინტერვიუ გენერალ დავით გულუასთან



***— ბატონო გენერალო, როგორც სამხედრო საქმის მცოდნე, როგორ ფიქრობთ, მიუხედავად იმისა, 1993 წელს აფხაზეთიდან იარაღს გამოიტანდნენ და საომარი მოქმედებების დროს ჯარს განაიარაღებდნენ თუ არა, სოხუმის დაცემა მაინც გარდაუვალი იყო? ტელევიზიის საშუალებით ასეთი აზრი გახმოვანდა.***

— საერთოდ, ყველაფერზე ფაქტებით უნდა ვისაუბროთ. ზეპირად ლაპარაკს არავითარი აზრი არ აქვს. ასეთი წარმატებით შეიძლება, პირიქით, სხვა რამეც ამტკიცო. იქ მარტო იარაღის გამოტანა არ მომხდარა, ყველა კომუნიკაცია, კავშირგაბმულობების საშუალებები განადგურდა. ყველაფერი მოისპო, რასაც ინფრასტრუქტურა ჰქვია. აფხაზეთში ჯარის განიარაღების საკითხს ძალიან რბილად აფასებენ — ამბობენ, რომ გამოტანილი იქნა მძიმე ტექნიკა. მხოლოდ მძიმე ტექნიკა კი არ გამოიტანეს აფხაზეთიდან, არამედ ჯარი დატოვეს ყოველგვარი კომუნიკაციის, იარაღის, ტექნიკის, ყველა საბრძოლო საშუალებისა და აღჭურვილობის გარეშე.

***— ჯარიც დაითხოვეს, ხომ? მეომრები სახლში გაუშვეს.***

— ჯარიც დაითხოვეს, რა თქმა უნდა. ჯარისკაცებს ჯარისკაცის ფორმაში სიარული აკრძალული ჰქონდათ. ახლა ჩვენ ვამბობთ, რომ ეს რომ არ გაეკეთებინა, სოხუმს მაინც აიღებდნენ. კი მაგრამ, იქამდე ომი რამდენი ხანი მიმდინარეობდა? წელიწადი და ორი თვე. წელიწადსა და ორი თვეში მტერმა სოხუმი თუ ვერ აიღო, ახლა იმის მტკიცების უფლება ვინ მოგვცა, რომ ჯარს განაიარაღებდნენ თუ არა, ნებისმიერ შემთხვევაში, სოხუმს მაინც აიღებდნენო? 410 დღის განმავლობაში მოწინააღმდეგემ სოხუმის აღება ვერ შეძლო, სოხუმისა, რომელიც გამაგრებული გახლდათ, თავს იცავდა, შესანიშნავად იდგა. ყველა სამხედრო ექსპერტის შეფასებით, ასეთი სოხუმის აღებისთვის რამდენიმე ათეულ ათასი მოწინააღმდეგე უნდა დაღუპულიყო. რუსეთი ჩვენ მაშინ ღიად არ გვებრძოდა. რუსეთი ღიად არსად ფიქსირდებოდა და მთელ მსოფლიოს უმტკიცებდა, რომ ის აფხაზეთში მიმდინარე ომში არ მონაწილეობდა.

***— იმ პერიოდში რუსეთი ღიად ვერც დაგვიპირისპირდებოდა.***

— საქმეც ესაა, რომ იმ დროს რუსეთი ღიად ვერ დაგვიპირისპირდებოდა. ვიღაც ავანტიურისტი რომ ამბობს, სოხუმი მაინც დაეცემოდაო, მე საპირისპიროს ვიტყვი, აფხაზეთში ჯარი რომ არ განეიარაღებინათ, მაშინ ჩვენ სოჭს ავიღებდით. ეს ერთი და იგივე დონის მტკიცებაა. ეს რა ხალხია, იცით? ახლა ასეთები ბევრი გამოჩნდება. პირდაპირ უნდა ვთქვა, სამწუხაროდ, ლონდერ ცაავა, რომელმაც ერთ-ერთ გაზეთს ინტერვიუ მისცა, იტყუება. ტყუილები არ შეიძლება იმიტომ, რომ ესენი იტყუებიან ბიჭების სისხლის ხარჯზე.

***— რას წერს?***

— რაღაც სისულელეებს — თურმე ფრონტის ხაზი ლონდერს ეჭირა და ზვიადისტები რომ არ ყოფილიყვნენ, თურმე ჩვენ გავიმარჯვებდით. რაღაც ასეთ სისულელეებს წერს. 3 აგვისტოს ზვიადისტები არ იყვნენ და 27 სექტემბერს გახდნენ ზვიადისტები? ყველა ცდილობს რაღაცნაირად გაამართლოს ჩვენი ხელისუფლების დანაშაულებრივი ქმედება. რაც შეეხება პაჭკორიას, მას ეტყობა სხვისი გამართლება უნდა — მეორე მხარის. არ ვიცი, პაჭკორია ახლა რას აკეთებს. ესენი, არც ერთი, ობიექტურები არ არიან. ისინი არაობიექტურები არიან. ზოგს კომპეტენცია არ ჰყოფნის, ზოგს კომპეტენცია ჰყოფნის, მაგრამ გაყიდულია. ზოგი კიდევ ისეა დაბადებული, რომ მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში სიმართლე არ უთქვამს, ახლა ხომ არ დაიწყებს სიმართლის ლაპარაკს.

***— ახლა იმის გაცხადება, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც აიღებდნენ სოხუმსო, ბრძოლას აზრი არ ჰქონდაო, ვფიქრობ, ასეთ განწყობას თავისთავად მიჰყავხარ დამარცხებამდე.***

— დამარცხებას კი არ იწვევს, არამედ მტრულად განწყობილი პიროვნების განცხადება ქვეყნისთვის დადებითი არ არის. ერთი რამ მინდა გკითხო — ჩვენს მხარეს იყო განიარაღებული, ცარიელი ხელებით დარჩენილი ხალხი; მოწინააღმდეგეები ეშერაში იდგნენ ტანკებით და სამხედრო ტექნიკით კბილებამდე შეიარაღებული. ეშერიდან სოხუმამდე ნახევარი საათის სავალი გზაა, ფეხით საათნახევარი სჭირდება. 11 დღის განმავლობაში სოხუმი ვინ დაიცვა? განიარაღებული ქალაქი 11 დღის განმავლობაში ვერ აიღეს და განუიარაღებელს აიღებდნენ? ქართული ჯარი, რომელიც კოდორთან იდგა და არ წამოვიდა სოხუმის დასახმარებლად, რომელსაც ასევე ვიღაც მართავდა.

***— კოდორთან მდგარი ჯარი სოხუმის დასახმარებლად რატომ არ წამოვიდა?***

— რატომ არ წამოვიდა, ეს უნდა ვიკითხოთ. გადავიდა გენერალი ყარყარაშვილი და არ დაემორჩილნენ, 5 ათასი მეომრიდან 300 მეომრით მხოლოდ დავით თევზაძე გამოჰყვა, დანარჩენებმა უარი თქვეს მათთან ერთად წამოსვლაზე.

***— ბატონო დავით, კოდორთან მდგარ ჯარს ვინ ხელმძღვანელობდა?***

— გუჯარ ყურაშვილი.

***— რა მოტივით არ დაემორჩილა ყარყარაშვილს და არ წამოვიდა სოხუმში საბრძოლველად?***

— იმ მოტივით არ წამოვიდა, სადაც დღეს ის იმყოფება.

***— სად იმყოფება დღეს გუჯარ ყურაშვილი?***

— რუსეთში. საიდანაც ჩამოვიდა, იქ წავიდა.

***— ანუ ჩვენი გენერლები იყვნენ რუსეთის.***

— მთლიანად ჩვენს გენერლებზე ნუ ვიტყვით. მე კონკრეტულად ვამბობ. გენერლები რომ არ ყოფილიყვნენ, აფხაზეთის ომი ორ დღეს არ გაგრძელდებოდა. კონკრეტული ხალხი იყო, ვინც ყიდდა საქართველოს, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენმა ხელისუფლებამ არანაკლები დანაშაული ჩაიდინა.

***— როდის ჩაიდინა დანაშაული, აფხაზეთში მებრძოლი ჯარი რომ განაიარაღა?***

— იმას კი არ ვამბობ, აფხაზებთან მთელი ცხოვრება უნდა გვებრძოლა და აფხაზები უნდა დაგვეხოცა, მაგრამ როგორ შეიძლება, ერთხელ განაიარაღე ჯარი, დატოვე ყოველგვარი შეიარაღების გარეშე, აიღეს გაგრა. ვინ აგო პასუხი? დამნაშავის ძებნა დაიწყეს. თურმე საწყალი მარინაშვილი — წესიერი კაცი — ყოფილა დამნაშავე. ამ დროს საქართველოს ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო ერთიანი ხელმძღვანელობა. არაფერი გააკეთა, რომ გაგრა არ ჩაბარებულიყო. გაგრის ასეთნაირად დაკარგვის შემდეგ, შეთანხმება კიდევ რამდენჯერმე დაირღვა, რომელიც ჩვენს საუბედუროდ მთავრდებოდა კატასტროფით. ასეთი მაგალითების შემდეგ შეიძლებოდა აფხაზეთში მყოფი ჯარის განიარაღების ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა და არავითარი გარანტია არ ყოფილიყო, თუ ომი განახლდებოდა, ხალხი — ამდენი ათასი ადამიანი რამენაირად დაცული იქნებოდა?!

***— ანუ ხელისუფლებამ ასი ათასობით ადამიანი დაცვის გარეშე დატოვა?***

— დიახ. ჩვენ სოხუმის დაცემის შემდეგ შევედით დსთ-ში. ადრე შესულიყავი, მაინცდამაინც სოხუმის ჩაბარებასა და აფხაზეთის ჩაბარებას ელოდებოდი? თუ დსთ-ში შეხვიდოდი, ესეც გარანტი ყოფილიყო.

***— ბატონო დავით, ერთხელ შევარდნაძეს ჰკითხეს, რატომ ადრე არ შეხვედი დსთ-შიო. შევარდნაძემ უპასუხა, მაშინ საზოგადოება ამისთვის მზად არ იყოო. ე.ი. დსთ-ში შესასვლელად მან საზოგადოება შეამზადა, რომ, ალბათ, შემდეგ დსთ-ში შესვლის გამო, ხმა ვერ ამოეღო.***

— რომელი საზოგადოება არ იყო მზად? ერთი-ორი, აგენტებით გაჭედილი პარტია იყო, რომლებიც რაღაცას ღნაოდნენ. რა საზოგადოება სჭირდებოდა აფხაზეთის დაკარგვას და საქართველოს დაღუპვას. დსთ რას გვართმევდა? ყველა რესპუბლიკიდან გავიდა ჯარი, ვინც დსთ-ში შევიდა, ყველამ სოლიდური წილი მიიღო საბჭოთა კავშირიდან. მე თუ მკითხავთ, დსთ-ში არ შესვლა დანაშაული იყო. სოხუმის დაცემის შემდეგ რაღას შედიოდა დსთ-ში. შევარდნაძემ ისევ ის მოიყვანა გარანტად, ვინც არასოდეს გარანტი არ იყო. რატომ არ ჩართო საერთაშორისო ძალები? ბოლოს და ბოლოს, თუ თავი არ გაქვს, შე კაიდედმამიშვილო, გადადექი და წადი.

***— ახლა ზოგიერთები აცხადებენ, რომ შევარდნაძეს რუსები ემუქრებოდნენ.***

— ემუქრებოდნენ კი არა, შევარდნაძეს, სოხუმის ჩაბარების შემდეგ, რუსებმა გამოუგზავნეს სამხედრო ხომალდი, რომლითაც ის უნდა გაეყვანათ და რანაირად ემუქრებოდნენ?!

***— შევარდნაძეს ხომალდი გამოუგზავნეს, რომ სოხუმიდან გამოეყვანათ?***

— დიახ, სოხუმიდან უნდა გამოეყვანათ. უბრალოდ, ბაბუშერას მიდამოებში, სადაც ის უნდა მოდგომოდა ნაპირს, ჩვენი მცირე სანაპირო დაცვის ჯგუფი იდგა, რომელმაც ცეცხლი გაუხსნა, ამიტომ ნაპირს ვეღარ მოადგა, თორემ შევარდნაძე სოხუმიდან ხომალდით გაჰყავდათ. რუსებს რომ სდომებოდათ, ტუ-135-ს გაუშვებდნენ, რომელსაც სოხუმიდან შევარდნაძე გამოჰყავდა? მათ ხელში იყო ყველაფერი, ყველაფერს აკონტროლებდნენ, ჩიტივით ჩამოაგებდნენ ძირს.

***— ბატონო დავით, ითქვა, რომ შევარდნაძეს ემუქრებოდნენ, 45 დღეს გაძლევთ და შემდეგ ავიღებთ სოხუმსო. თუკი ასე იყო, მსოფლიო დონის პოლიტიკოსად წოდებულმა შევარდნაძემ, მსოფლიოს რატომ არ გააგებინა, რომ რუსეთი ემუქრებოდა ამ პატარა საცოდავ საქართველოს?***

— დამუქრებით ყველა გემუქრება. რამდენჯერაც დაგემუქრებიან, იმდენი თუ დაუთმე, არაფერი დაგრჩება. აქ მუქარებზე კი არა, კონკრეტულ ქმედებებზეა საუბარი. ქმედებები, რომლითაც ყველაფერი განხორციელდა, ეს იყო ღალატი. ჩვენ მაშინ ღიად ვამბობდით, რომ ღალატი იყო. გვიმტკიცებდნენ, არა, ეს სამშვიდობო პროცესია, კარგი სიტუაციააო და 1 სექტემბერს აფხაზეთში სწავლა დაიწყო. მაშინ, როცა მთლიანად საქართველოში სწავლა 16 სექტემბერს იწყებოდა. აფხაზეთიდან წასული ხალხი უკან მოვიყვანეთ — მოსწავლეები, სტუდენტები და ბომბების ქვეშ მოვაქციეთ. ჩვენ მოვუწყეთ გენოციდი.

***— ღალატს შევარდნაძე სხვას აბრალებს.***

— შევარდნაძე ღალატს ვის აბრალებს, რა შუაშია. მეც არ ვამბობ, რომ მაგან გვიღალატა. უბრალოდ, არასწორი იყო-მეთქი. შევარდნაძე ცრუობს რომ ამბობს, სოხუმში ჯარმა გვიღალატაო. ჯარმა 11 დღე ცარიელი ხელებით იბრძოლა, მეტი არ შეეძლო. არის ფიზიკური შესაძლებლობის ზღვარი. გერმანიამ ომი რომ დაიწყო, ორმილიონნახევარი ჯარი ჰყავდა, მაგრამ წააგო იმიტომ, რომ აღარ შეეძლო და ორმილიონნახევრიანი ჯარი დაკარგა. ყველაფერს აქვს თავისი კრიტიკული ზღვარი. ძალიან კარგად მახსოვს, შევარდნაძე რომ გვეუბნებოდა, თქვენ 1 დღე გაძელით და მერე ნახავთ, რას ვიზამთო. ერთი დღეც გავძელით და ათიც, მერე რა ქნა?

***— როგორ ფიქრობთ, შევარდნაძემ რატომ არ მოახდინა საყოველთაო მობილიზაცია მთელი ქვეყნის მასშტაბით? თქვენ ეს კითხვა თუ დაგისვამთ შევარდნაძისთვის?***

— არ ვიცი, შევარდნაძემ რა გააკეთა. თუ ომში ხარ, ბევრი სხვა რამეც არის საჭირო. წაიკითხეთ დავით აღმაშენებლისა და სხვა მეფეების შესახებ, რა გააკეთეს — გააერთიანეს ამერ-იმერი, მთელი საქართველო. შევარდნაძე თბილისში ერთმანეთს აჭმევინებდა ყველას. ჯარის არც ერთი სახეობა ერთმანეთის მიმართ დადებითად არ იყო განწყობილი. იოსელიანი ვიღაცას იყო დაპირისპირებული, ვიღაცა ყარყარაშვილს უპირისპირდებოდა. ერთმანეთს აჭმევინებდა. ასეთი დამოკიდებულებით შეიძლება ომი მოიგო?

## ჟენევაში საერთაშორისო მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი გაიმართება

2011 წლის 4 ოქტომბერს, ჟენევაში კავკასიაში მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი გაიმართება.

მოლაპარაკებებში მონაწილეობას საქართველოს, რუსეთის, აშშ-ის, ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მარიონეტული რეჟიმების, ასევე გაეროს, ეუთოს და ევროკავშირის წარმომადგენლები მიიღებენ.

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, ჟენევის მოლაპარაკებების მთავარი პრიორიტეტი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის უსაფრთხოების უზრუნველყოფაა.

„რუსული მხარე, მზადყოფნას გამოთქვამს რეგიონში სტაბილურობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის გარანტი გახდეს“, — აღნიშნულია რუსეთის საგარეო უწყების განცხადებაში.

ჟენევის მოლაპარაკებებისას ჰუმანიტარულ თემატიკაზეც გაგრძელდება საუბარი. მოლაპარაკებების მონაწილეები უგზოუკვლოდ დაკარგულთა საკითხსაც შეეხებიან, ასევე ისაუბრებენ სოციალურ-ეკონომიკურ რეაბილიტაციაზე და ადგილობრივი მოსახლეობისათვის ჰუმანიტარული დახმარების გადაცემის საკითხებს განიხილავენ.

**მედიანიუსი**

# სოფლის მეურნეობას სახელმწიფოს მხარდაჭერა სჭირდება

შორენა კოწოწაშვილი

**ეკონომისტი სოლომონ პავლიაშვილი მნიშვნელოვნად მიიჩნევს ქვეყანაში ფერმერის პროფესიის ჩამოყალიბებას და შესაბამისი საგანმანათლებლო ბაზის შექმნას.**

— ძალიან დიდი რაოდენობის ჰიბრიდული სიმინდი იქნება ქვეყანაში. კახეთში ჰექტარზე დაახლოებით 8-9 ტონა სიმინდის მარცვლის აღებას ვარაუდობენ. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ეს არ უნდა იყოს ფრაგმენტული. ეს უნდა იყოს მუდმივი პროცესი. ზემოთაც აღვნიშნე, მთავარია დაზღვევის სისტემის განვითარება. გლეხი, ფერმერი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ დანახარჯს გარანტირებულად ამოიღებს. დაზღვევა უნდა იყოს გვალვაზე, სეტყვაზე და ბუნებრივ მოვლენებზე, — აცხადებს სოლომონ პავლიაშვილი.

რამდენად სწორი პოლიტიკა აირჩია ხელისუფლებამ აგრარული განათლების კუთხით და შეცდომა იყო თუ არა აგრარული უნივერსიტეტის კახა ბენდუქიძისთვის 1 ლარად მიყიდვა? — ამ საკითხების ირგვლივ გავესაუბრეთ თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორ **სოლომონ პავლიაშვილს.**

***— ბატონო სოლომონ, როგორც ეკონომისტი, რას იტყვით პრეზიდენტის საერთაშორისო დონის შეხვედრებზე გაკეთებულ განცხადებაზე იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველო ბიზნესის კეთების სიმარტივის კუთხით იაპონიაზე წინ არის. ობიექტურია საერთაშორისო ორგანიზაციების მსგავსი შეფასებები?***

— ეს შეფასება არ არის ახალი. ასეთი შეფასება გაკეთდა 2009-2010 წლებშიც. ბიზნესის დაწყების თვალსაზრისით საქართველო არის ერთ-ერთი, ასე ვთქვათ, პირველ ათეულში მყოფი ქვეყანა. ფაქტია, რომ გამარტივდა უძრავი ქონების რეგისტრაცია. მუშაობს გაკოტრების კანონი, საგადასახადო კანონმდებლობა არის მოქნილი. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, შემოსავლების სამსახურში კორუფცია ძალიან დაბალი ხარისხითაა. რაც შეეხება საინვესტიციო გარემოს ქვეყანაში, ჩვენ გვქონდა 2006-2007 წლებში ინვესტიციების ბუმი, სადღაც 6 მლრდ-ზე მეტი ინვესტიცია მივიღეთ. ამიტომ, ესენი თავისთავად არის პოზიტიური მომენტები თავისდაუნებურად შექმნა იმიჯი იმისა, რომ ქვეყანა ბიზნესის კეთების თვალსაზრისით არის ერთ-ერთი მიმზიდველი ქვეყანა. ეს ამ პარამეტრებიდანაც ჩანს.

***— თუმცა გარკვეული მიმართულებით ქვეყანას ჩავარდა აქვს, მათ შორის სოფლის მეურნეობის სექტორში,***



***სადაც ინვესტიციების ჩადებას უცხოელების მსგავსად ადგილობრივი ბიზნესმენებიც ერიდებიან. რა არის ამის მიზეზი?***

— საერთოდ, სოფლის მეურნეობა მსოფლიოში მაინცდამაინც მიმზიდველი დარგი არ არის. ამიტომ აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა. სწორი ნაბიჯები გადაიდგა სოფლის მეურნეობის მხარდაჭერისთვის. საერთოდ, უნდა ვიცოდეთ, რომ სოფლის მეურნეობა — ეს არ არის მარტო რომელიმე დარგის, იგივე სოფლის მეურნეობის სამინისტროს პრობლემა. ეს უნდა იყოს ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი. სოფლის მეურნეობის სტრატეგია გრძელვადიან პერიოდზე უნდა იყოს გათვლილი და ეს უნდა იყოს სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტი. სოფლის მეურნეობას სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა აუცილებლად სჭირდება. ძალიან კარგი იყო ის ნაბიჯები, რომელიც გადაიდგა სოფლის მეურნეობის მხარდაჭერისთვის. სოფლის მეურნეობა უნდა იყოს ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი და ქვეყნის სავიზიტო ბარათი. რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ: სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს რაც შეიძლება მაქსიმალურად უნდა შეუწყოს ხელი თუნდაც სოფლის მეურნეობის სექტორის პირდაპირ სტიმულირებას. მნიშვნელოვანია ინფრასტრუქტურის შექმნა სოფლის მეურნეობაში, სადაზღვევო სისტემის განვითარება და რაც მთავარია, იაფფასიანი კრედიტები. აგრეთვე სატრაქტორო-სალიზინგო მეურნეობების შექმნა. აი, ეს კომპლექსში არის სახელმწიფოს მიერ გასაკეთებელი საქმე. ბელგია და ჰოლანდია გამოირჩევიან იმით, რომ სახელმწიფო ხშირად აფინანსებს სოფლის მეურნეობას. მაგრამ ეს დაფინანსებები არის ძირითადად არა პირდაპირი, არამედ ირიბი. თუმცა ირიბი დაფინანსებაც არის ის დაფინანსება, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს მთლიანად სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებას. თუნდაც ის, რაც ხდება დღეს სიმინდთან დაკავშირებით, ძალიან მნიშვნელოვანია. ცნობილია, რომ ძალიან დიდი რაოდენობის ჰიბრიდული სიმინდი იქნება ქვეყანაში. კახეთში ჰექტარზე დაახლოებით 8-9 ტონა სიმინდის მარცვლის აღებას ვარაუდობენ. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ეს არ უნდა იყოს ფრაგმენტული. ეს უნდა იყოს მუდმივი პროცესი. ზემოთაც აღვნიშნე, მთავარია დაზღვევის სისტემის განვითარება. გლეხი, ფერმერი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ დანახარჯს გარანტირებულად ამოიღებს. დაზღვევა უნდა იყოს გვალვაზე, სეტყვაზე და ბუნებრივ მოვლენებზე.

***— რამდენად პრობლემატურია ქვეყანაში პროფესიონალი კადრები აგრარულ ქვეყანაში?***

— ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. მე თუ მკითხავთ, ყველაზე დიდი პრობლემა, რომელზეც ჩვენ თვალს ვხუჭავთ, ეს არის პროფესიონალი კადრების პრობლემა სოფლის მეურნეობაში. თუმცა ერთი-ორჯერ პრეზიდენტმა მიანიშნა, რომ აგრონომი რომ ვერ მოიძებნა, რომ უცხოეთში გაეგზავნათ. ფერმერის პროფესია არ არსებობს ქვეყანაში. დღემდე ვერ შევქმენით ფერმერები. დღევანდელი ფერმერები ვინ არიან? — ესენი არიან ჩვეულებრივი ხელმოცარული ხალხი, შეიძლება იყოს პედაგოგი, ჩინოვნიკი, ან სხვადასხვა სფეროში დასაქმებული, რომელიც შემდგომ დარჩა უმუშევარი და ხელი მოკიდა ფერმერობას. პროფესია ფერმერი დღემდე ვერ შევქმენით, რაც ძალიან სამწუხაროა.

***— რატომ არის პროფესიონალების პრობლემა, საკმაოდ დიდი ხანია აგრარული უნივერსიტეტი არსებობს ქვეყანაში.***

— სამწუხაროდ, პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ბოლო პერიოდში კადრების კვალიფიკაცია შედარებით ძალიან დაბალი დონის იყო. ამიტომაც მან ფეხი ვერ მოიკიდა. გარდა ამისა, დასამალი არ არის, რომ ასე ვთქვათ, პრივილეგირებულ პროფესიებად ითვლებოდა ბოლო პერიოდში სამართლის მიმართულება და ბიზნესის ადმინისტრირება. ამიტომაც ძალიან სწორ პოზიციას იკავებს სახელმწიფო, განათლების სამინისტრო, რომ ამ სპეციალობებზე გრანტები შეამცირა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. იმიტომ რომ სახელმწიფომ ის პოლიტიკა უნდა შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას. ამდენი ეკონომისტი, მენეჯერი და ამდენი სამართალმცოდნე ქვეყანას ნამდვილად არ სჭირდება. ამიტომ უნდა შესთავაზო ის სპეციალობები, რომელსაც ქვეყანა და ბაზარი ითხოვს.

# ბაკურ კვეზერელი: „ჰიბრიდული სიმინდის პროგრამა ყველაზე მაღალშემოსავლიანია“

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრ ბაკურ კვეზერელის განცხადებით, ჰიბრიდული სიმინდის პროგრამა გასულ წლებში განხორციელებულ პროგრამებს შორის გლეხური და ფერმერული მეურნეობებისათვის ყველაზე მაღალშემოსავლიანია.

როგორც მან ბრიფინგზე განაცხადა, პროგრამის შესრულების შედეგად რამდენიმე ათასი ფერმერი და გლეხი სიმინდის რეალიზაციიდან სოლიდურ თანხას მიიღებს. მისი ინფორმაციით, 2011 წელს სიმინდის ნათესების ფართობი 2010 წელთან შედარებით 65 პროცენტით გაიზარდა. ერთ ჰექტარ მიწაზე მოსავლიანობის მაჩვენებელი კი, წინა წელთან შედარებით, სულ მცირე, გაორმაგდება. მოსავლის მოსალოდნელი რაოდენობა 464 800 ტონა იქნება.

„საქართველო სიმინდს საექსპორტოდ წელს პირველად გაიტანს. 2012 წლის პროგრამა უფრო მასშტაბური და ექსპორტზე ორიენტირებული იქნება“, — აღნიშნა ბაკურ კვეზერელმა.

მინისტრი იმ ოპონენტებსაც გამოეხმაურა, რომლებ-



მაც იგი ჰიბრიდული სიმინდის პროგრამის წარუმატებლობისთვის გააკრიტიკეს და აღნიშნეს, რომ ამის გამო გლეხებმა სერიოზულად იზარალეს.

ბაკურ კვეზერელის მტკიცებით, ოპოზიციის ნაწილს საზოგადოება შეცდომაში შეჰყავს. მისი თქმით, ყველა გლეხსა და ფერმერს მაღალხარისხიანი თესლი დაურიგდა და შესაბამისი ინსტრუქციებიც დროულად მიიღეს.

შეგახსენებთ, რომ „ქრისტიან-დემოკრატებმა“ ამ პროგრამის განხორციელებისას გამოვლენილი დარღვევების შესასწავლად პარლამენტში დროებითი კომისიის შექმნა მოითხოვეს.

**მედიანიუსი**

# „მინისტრი, გუბერნატორი და პრეზიდენტი რომ ლაპარაკობენ ბრტყელ — ბრტყელს, აქ მოვიდნენ და ნახონ, რა დღეში ვართ!“

რთველის მიმდინარეობით უკმაყოფილო გლეხებმა სიღნაღის რაიონის სოფელ ძველ ანაგაში საპროტესტო აქცია გამართეს. აქციაში 200-ზე მეტი გლეხი მონაწილეობდა. როგორც აქციის მონაწილეებმა განუცხადეს, ყურძენმა ლპობა დაიწყო, ღვინის ქარხნები კი რქაწითელის ჯიშის ყურძენს ამ დრომდე არ იბარებენ, — აცნობეს „მედიანიუსს“ კახეთის საინფორმაციო ცენტრიდან.

„ერთი კვირაა უკვე დავდივარ და ყურძენი ვერსად ჩამიბარებია. თელავში, ერთ-ერთი ღვინის ქარხანა რქაწითელს 60 თეთრად იბარებდა. გუშინ ავედით და აღარ ვიბარებთო. მერე ლილოში წავედით, ღვინის ქარხანაში. იქ გვითხრეს, აბსოლუტურად უნაკლო ყურძენს 60 თეთრად ჩვენც ვიბარებდით, ოღონდ მეტი აღარ გვინდაო. სიღნაღის რაიონში არცერთი ღვინის ქარხანა არ იბარებს. ყვარელში წავედით, იქ გვითხრეს 45 თეთრს გადაგიხდითო. ჩაიტანა ჩემმა მეზობელმა 3 კამაზი და უთხრეს, ყურძენი არ ვარგა და თუ გინდა 30 თეთრად მივიღებთო. რა უნდა ექნა, ადგა და ჩააბარა. ლაგოდეხში ვიყავით გასულები, ბაისუბნის ღვინის ქარხანაში და გვითხრეს, 55 თეთრად ჩავიბარებთ, ოღონდ ნახევარ თანხას წლის ბოლოს ან 2012 წლის იანვარში მოგცემთო. ტელევიზორში რომ ლაპარაკობენ მინისტრი, გუბერნატორი და პრეზიდენტი ბრტყელ — ბრტყელს, აქ მოვიდნენ და ნახონ რა დღეში ვართ და რა უბედურებაა“, — აღნიშნეს გლეხებმა.

სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე თამაზ ნასყიდაშვილი და გამგეობის თანამშრომლები უკმაყოფილო გლეხებს კახეთის საინფორმაციო ცენტრთან საუბარს უშლიდნენ. რთველის საკოორდინაციო შტაბის უფროსი ტარიელ გაბუნია გლეხების უკმაყოფილებას უსაფუძვლოს უწოდებს. მისი თქმით, კახეთში რთველი წარმატებით მიმდინარეობს და მოსავლის დაბინავების პრობლემა არ არის.

**მედიანიუსი**

# მიტოვებული შენობების მეპატრონეებს მათი რეაბილიტაცია დაეკისრებათ

მიტოვებული და უფუნქციო შენობების მეპატრონეებს მათი რეაბილიტაცია მოუწევთ. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ქონების ჩამორთმევა მოელით.

შესაბამისი ცვლილების შეტანა ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ კანონში იგეგმება.

მის თანახმად, თბილისში, საკრებულოს მიერ განსაზღვრულ ზონებში არსებული არაფუნქციონირებადი, მიტოვებული შენობა-ნაგებობების მესაკუთრეები ვალდებულნი ხდებიან, მშენებლობის ნებართვა 6 თვის ვადაში მიიღონ. ამ ვადის ათვლა პირის მიერ ასეთი ქონების დარეგისტრირებისა და/ან შენობის ფუნქციონირების შეწყვეტის შემდეგ დაიწყება. ასეთი შენობები აღარც საცხოვრებლად, აღარც კომერციული ან სხვა საზოგადოებრივი დანიშნულებით უნდა გამოიყენებოდეს.

მშენებლობის ნებართვის აღების ვალდებულება იმ შემთხვევებზეც გავრცელდება, თუ პირი მიწის ისეთ ნაკვეთს შეიძენს, რომელზეც ადრე მდგომი შენობა-ნაგებობა დანგრეულია და/ან მას თვითონ დაანგრევს.

თუ პირი მშენებლობის ნებართვას 6 თვეში არ აიღებს, სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო მას დარღვევის გამოსასწორებლად გონივრულ ვადას მისცემს. გონივრულ ვადაში ვერჩატევის შემთხვევაში კი მას ჯარიმა დაეკისრება, რომლის რაოდენობაც ზონების მიხედვით დადგინდება.

თუ პირი არც მშენებლობის ნებართვას აიღებს და არც ჯარიმას გადაიხდის, მისი ქონება იძულებით რეალიზაციას დაექვემდებარება. კანონპროექტის ინიციატორები და ავტორები დეპუტატები: ანდრო ალავიძე, ვახტანგ ბალავაძე და კახაბერ ანჯაფარიძე არიან. პარლამენტი დაჩქარებული წესით განიხილავს.

**მედიანიუსი**

# სადეპოზიტო სერტიფიკატების აუქციონი გაიმართა

საქართველოს ეროვნული ბანკის 84-დღიან 39, სადეპოზიტო სერტიფიკატების აუქციონზე 10 000 000 ლარის ნომინალური ღირებულების ფასიანი ქაღალდები გაიყიდა. ფასიანი ქაღალდები შეიძინა სამმა კომერციულმა ბანკმა. მინიმალური საპროცენტო განაკვეთი 7.72%-ით, მაქსიმალური 8.43%-ით, ხოლო საშუალო შეწონილი 8.04%-ით განისაზღვრა.

**მედიანიუსი**

# რა მოხდა რუსთავის მე-17 საპატიმროში და რატომ დატოვა თანამდებობა საპატიმროს უფროსმა?

**დასაწყისი მე-4 გვერდზე**

უნდა იყოს, ამ პირსისხლიან ადამიანს მამაო ჰყოლია და აღნიშნული თანამდებობა მამა ზაქარიას რჩევით დაუტოვებია. საერთოდაც, მას ამ თანამდებობის დატოვება კარგა ხანია სდომებია, რადგან დეპარტამენტის უფროს კეკუასთან, რომელიც მასავით ახალაიას კადრია იმ თავიდან დაპირისპირება და დაძაბული ურთიერთობა ჰქონია. წყარო ვერ გვიკონკრეტებს, სად აპირებს მოღვაწეობის გაგრძელებას ბრეგვაძე, თუმცა აღნიშნული თანამდებობა, რომ დატოვა დანამდვილებით იცის.

რაც შეეხება პატიმარ მამედ ზადეს დღევანდელ მდგომარეობას, კობახიძის თქმით, ილგარის ამ განცხადებას, რომ არ მისცემოდა შემდგომი მსვლელობა, პატიმარზე წნეხი განხორციელდა, რის შემდეგაც მან განცხადების შემდგომ მსვლელობაზე უარი თქვა, მეტიც, პატიმარი მისი ოჯახის უსაფრთხოების დაცვასაც ითხოვს. მისივე თქმით, პატიმარზე სახალხო ოფისის წარმომადგენელიც ახდენდა ზემოქმედებას. „სახალხო დამცველის წარმომადგენელი, ვინმე ოთარი რეალურად ხელს უწყობს პენიტენციალური სისტემის წარმომადგენლებს, რომ კიდევ უფრო მეტი რეპრესიები განახორციელონ პატიმრებზე და მეტი წნეხის ქვეშ ამყოფონ“, — □განაცხადა კობახიძემ ერთ-ერთ მედიასაშუალებასთან საუბრისას.

კობახიძის თქმით, პატიმარი აღნიშნავს, რომ ინფორმაცია, რომელიც სახალხო დამცველმა გაავრცელა, თითქოს მას სხვა პატიმრებთან ჰქონდა პრობლემები, არ არის სიმართლე. მამედ ზადე თავის განცხადებაში წერს, რომ სიცრუეა ისიც, თითქოს მან მიიყენა თვითდაზიანებები. განცხადების ბოლოს კი მსჯავრდებული წერს, რომ 5 დღეა არ აძლევენ ოჯახთან და ადვოკატთან დარეკვის უფლებას. კობახიძის თქმით, პატიმრის სიცოცხლე საფრთხეშია.

მამედ□ზადეს საქმეში „წინააღმდეგობის მოძრაობა“ და მისი ერთ-ერთი ლიდერი სოსო მანჯავიძე პირველივე დღიდან არის ჩართული. „ახალი თაობა“ სოსო მანჯავიძეს ესაუბრა.

სოსო მანჯავიძე:

— ეს არ არის უბრალო საქმე, საქმე ის არის, რომ ეს პატიმარი არის ბატონი დენიელ კუნინის ახლო მეგობარი, მას ასევე ძალიან ახლოს იცნობს საქართველოს პირველი პირი. მისი მამა ელდარ მამედ ზადე იყო მთავარი სპეციალისტი კავკასიური ხალიჩებისა. ის ხალიჩების კოლექცია, რომელიც 2004 წელს ბუშმა აქ ვიზიტისას იხილა, სწორედ მამამისის გაკეთებული იყო. როგორც პატიმრის დედამ, ქალბატონმა ია ქაჯაიამ განაცხადა, სწორედ ეს გახდა მისი შვილის ასეთი სავალალო ბედის მთავარი განმსაზღვრელი, რადგან მაშინ აღუნიშნავთ, რომ რამდენიმე მილიონი დოლარის ხალიჩების დემონსტრაცია გააკეთა ილგარის მამამო და აი, ამის შემდეგ დაიწყო მისი შვილის დევნა. სწორედ ამიტომ „წინააღმდეგობის მოძრაობა“ დენიელ კუნინს უგზავნის წერილს, რათა ჩაერიოს ამ საქმეში. ჩვენი წერილის ადრესატად ის რამდენიმე მიზეზის გამო ავირჩიეთ. პირველი, საქართველოში არსებული რეჟიმის ჩამოყალიბებაში მას დიდი წვლილი მიუძღვის, მეორე, მან საკუთარი თვალით იხილა ამ რეფორმის მოქმედების პირველი სავალალო შედეგები და გაერიდა, მესამე, ის ახლოს იცნობს ამ პატიმარს. დენიელ კუნინი იყო მთავარი კონსულტანტი მიხეილ სააკაშვილისა, მთავარი არქიტექტორი ამ სისტემისა. მან დატოვა საქართველო აგვისტოს ომის შემდეგ და ამჟამად აშშ-ში იმყოფება. იმედს ვიტოვებთ, რომ ის არ გაექცევა პასუხიმგებლობას და დაგვეხმარება ამ რეჟიმის დასრულებაში. მოვუწოდებთ მას, რომ დაეხმაროს თავის მეგობარ მამედ ზადეს, რომელსაც სიკვდილი ემუქრება.

## ვარშავაში აღმოსავლეთის პარტნიორობის სამიტი იხსნება

ვარშავაში აღმოსავლეთის პარტნიორობის სამიტი გაიხსნება. 29 სექტემბერს დაგეგმილია სამიტის მონაწილე დელეგაციების ლიდერების სადილი. 30 სექტმებერს გაიმართება ორი პლენარული სესია. აღმოსავლეთის პარტნიორობის წევრი ქვეყნების ლიდერები და ევროკავშირის ოფიციალური პირები აღმოსავლეთ პარტნიორობის პერსპექტივებს განიხილავენ.

ასევე, იმსჯელებენ ევროგაერთიანების ასოცირებული წევრობის შეთანხმებაზე და ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის გამარტივებაზე. ამის შემდეგ მოხდება სამიტის საბოლოო დეკლარაციის მიღება. სამიტის დასასრულს პოლონეთის პრემიერი დონალდ ტუსკი, უნგრეთის პრემიერი ვიქტორ ორბანი, ევროკავშირის პრეზიდენტი ჰერმან ვან რომპეი და ევროკომისიის თავმჯდომარე ჟოზე მანუელ ბაროზო შემაჯამებელ პრესკონფერენციას გამართავენ.

როგორც ცნობილია, აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამაში საქართველოც მონაწილეობს. ვარშავაში დაგეგმილ სამიტს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მეთაურობით საქართველოს დელეგაციაც დაესწრება.

**მედიანიუსი**

## ყაზახეთის დელეგაცია საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემას გაეცნო



სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა ხათუნა კალმახელიძემ ყაზახეთის რესპუბლიკის დელეგაცია მიიღო.

როგორც „მედიანიუსს“ სამინისტროდან აცნობეს, უფასო იურიდიული დახმარების გამოცდილების გაზიარების მიზნით დელეგაციის წევრები სამსახურის სერვისით სარგებლობის პირობებს და განვითარების გეგმას ადგილზე გაეცნენ.

შეხვედრაზე სტუმრებმა ყაზახეთში უფასო სამართლებრივი მომსახურების დანერგვის შესახებ ისაუბრეს. მათ აღნიშნეს, რომ იურიდიული დახმარების სისტემის რეფორმა ცოტა ხნის წინ დაიწყეს და ამ მიმართულებით საუკეთესო პრაქტიკის მქონე ქვეყნების გამოცდილებას ითვალისწინებენ.

ყაზახეთის დელეგაციის შემადგენლობაში რესპუბლიკის იუსტიციისა და ფინანსთა სამინისტროების, ასევე ადვოკატთა ასოციაციისა და ადამიანის უფლებათა სფეროში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები შედიან.

საქართველოში მოქმედი იურიდიული დახმარების სამსახური პოსტსოციალისტურ სივრცეში ერთ-ერთ სამაგალითო სისტემად ითვლება. წელს ანალოგიური ვიზიტით საქართველოს იორდანიის დელეგაციაც სტუმრობდა.

დღეისათვის, იურიდიული დახმარების სამსახური მოქალაქეებს უფასო საადვოკატო მომსახურებას და სამართლებრივ კონსულტაციებს 15 რეგიონში კვალიფიციური იურისტების მეშვეობით უწევს.

**მედიანიუსი**

## წელს ცოფით ორი ადამიანი გარდაიცვალა

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მონაცემებით, წელს საქართველოში ცოფით ორი ადამიანი გარდაიცვალა.

მათი ინფორმაციით, ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინა და მომსახურება არასრულწლოვანებისათვის უფასოა.

„18 წლამდე მოზარდებისათვის ვაქცინაც და მომსახურებაც უფასოა. 18 წლის ზემოთ კი ვაქცინა უფასოა, თუმცა მომსახურება ფასიანია. მომსახურების ღირებულებას კი საავადმყოფო დამოუკიდებლად განსაზღვრავს“, — აცხადებენ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის პრესსამსახურში.

ცნობისათვის: ცოფი მწვავე ვირუსული ზოონოზური დაავადებაა, რომელიც შესაბამისი იმუნოპროფილაქტიკური ჩარევის გარეშე ლეტალურად სრულდება.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ინფორმაციით, ამ დაავადებით ყოველწლიურად 5 ათასი ადამიანი იღუპება. მათგან 99 პროცენტი ცოფიან ძაღლთან კონტაქტით ინფიცირდება.

**მედიანიუსი**

## ისრაელის გადაწყვეტილებამ საერთაშორისო პოლიტიკურ წრეებში შეშფოთება გამოიწვია



ისრაელის ხელისუფლების გადაწყვეტილებამ სამხრეთ იერუსალიმში 1,100 საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დაწყებასთან დაკავშირებით, საერთაშორისო პოლიტიკურ წრეებში შეშფოთება გამოწვია.

თეთრი სახლის პრესსპიკერმა ჯაი კარნეიმ განაცხადა, რომ ბარაკ ობამას ადმინისტრაცია ისრაელის ხელისუფლების ამ გადაწყვეტილებით იმედგაცრუებულია. ეს მშენებლობები საერთაშორისო კანონმდებლობის მიხედვით უკანონოა.

ზემოხსენებული გადაწყვეტილების გამო შეშფოთება გამოთქვა ბრიტანეთის საგარეო უწყებამაც, აშშ-ს სახელმწიფო მდივან ჰილარი კლინტონის შეფასებით კი, ისრაელის ხელმძღვანელი პირების ქმედება დაპირისპირებულ მხარეებს შორის მოლაპარაკების აღდგენის საკითხში კონტპროდუქტიულ როლს ითამაშებს.

ცნობისთვის: ისრაელმა სამხრეთ იერუსალემში ახალი მშენებლობების დაწყების გადაწყვეტილება ცოტა ხნის წინ მიიღო. ისრაელის მთავრობის გეგმა უკვე გააპროტესტა პალესტინურმა მხარემ.

პალესტინელი პოლიტიკოსების განცხადებით, ისრაელმა სამხრეთ იერუსალიმის ეს ტერიტორია 1967 წელს ხელში უკანონოდ ჩაიგდო.

**მედიანიუსი**

# საქართველოს ეკონომიკა 2008 წლიდან უკან მიდის

შორენა გონგლაძე

მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა საქართველოს ეკონომიკაზე განსაკუთრებით 2008 წლიდან დაიწყო ასახვა. საქართველოს ეკონომიკისთვის სერიოზული დარტყმა იყო რუსეთ-საქართველოს ომი. გარდა იმისა, რომ ქვეყანამ მატერიალური თვალსაზრისით დიდი ზარალი განიცადა, ომმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია უცხოური ინვესტიციების შემოდინებაზეც. მნიშვნელოვანი პრობლემები შეიქმნა ასევე საბანკო სისტემაშიც, პოლიტიკურმა არასტაბილურობამ ბანკებიდან დიდი ოდენობით ანაბრების გადინება გამოიწვია, რამაც ბანკები გაკოტრების პირას მიიყვანა. ამ პერიოდში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საერთაშორისო დახმარებებმა, საქართველომ დაახლოებით 4,5 მილიარდი აშშ დოლარის დახმარება მიიღო კრედიტებისა და გრანტების სახით. აღნიშნული ფინანსები ძირითადად მიმართული იყო სხვადასხვა სფეროებისკენ, როგორიცაა იძულებით პირთა განსახლება, ენერგეტიკა, მუნიციპალური ტრანსპორტი, გარემოს დაცვა, სოფლის მეურნეობა და სხვა (თუმცა, სხვა საკითხია, რამდენად მიზანმიმართულად დაიხარჯა აღნიშნული თანხები).

სწორედ ამგვარ მნიშვნელოვან საკითხებს ეხება ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის მიერ გამოქვეყნებული ანგარიში, სადაც დეტალურად არის განხილული ის პერსპექტივები, რაც ქართულ ეკონომიკას გააჩნია. ამჯერად შევეხებით, თუ რა ფაქტორები ახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე გავლენას და ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტზე.

როგორც ცნობილია, 2011 წლის პირველ კვარტალში მთლიანი შიდა პროდუქტი 5,151.8 მილიონ ლარს შეადგენდა, რაც 20 პროცენტით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს. რეალური მშპ -ის ზრდის ტემპი მიმდინარე წლის პირველ კვარტალში 5.8 პროცენტით გაიზარდა. როგორც ანგარიშშია ნათქვამი, მნიშვნელოვანი ზრდა აღინიშნა საფინანსო შუამავლობის (24.0%) ელექტროენერგიის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების (12.4%), უძრავი ქონების, იჯარის და ბიზნესსაქმიანობის (9.5%), ტრანსპორტის (9.1%), მრეწველობის (8.6%), სასტუმროებისა და რესტორნების მომსახურების (8.6%) და კომუნიკაციის (7.6%) სექტორებში. რეალური ზომიერი ზრდა აღინიშნა განათლების (3.8%), ვაჭრობის (2.5%), სახელმწიფო მმართველობის (1.9%), სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, თევზჭერის (1.7%) სექტორებში. კლება გასულ წელსა და მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ისეთ სფეროებში აღინიშნა, როგორებიცაა მშენებლობა და შინამეურნეობათა პროდუქცია. ბოლო დროს ზრდა შეინიშნება მშენებლობაში, საბანკო სექტორსა და სამთომოპოვებით მრეწველობაში, თუმცა თანხების სიმწირისა და გარე ინვესტიციების მოზიდვაში სიძნელეების გამო, ამ სფეროში ეკონომიკური ზრდის შენელების რისკი არსებობს.



გარდა ამისა აღსანიშნავია, რომ კრიზისისწინა პერიოდში მთლიანი შიდა პროდუქტის დეფლატორის ზრდას გაუსწრო, ახლა კი პირიქითაა. მშპ-ის ზრდის ტემპი ნელ-ნელა მატულობს, თუმცა ჯერ კრიზისისწინა 10%-იანი დონისათვის არ მიუღწევია. რეალური მშპ-ის ზრდასთან ერთად ერთ სულ მოსახლეზე ქვეყნის ცხოვრების განმსაზღვრელმა მაჩვენებელმაც იმატა და 2011 წლის პირველ კვარტალში 1,152.7 მილიონი ლარი შეადგინა, რაც გასულ წელს ამავე პერიოდთან შედარებით 19%-იანი ზრდაა, თუმცა 2010 წლის მეოთხე კვარტლის მაჩვენებელთან შედარებით კლებაა, რაც გამოწვეულია იმით, რომ წლის დასაწყისში ქვეყნის ეკონომიკა ნელ-ნელა იზრდება, რასაც სოფლის მეურნეობაში სეზონურობის ფაქტორი ემატება. მეტიც, ერთ სულ მოსახლეზე მშპ შესაძლოა შინამეურნეობის ცხოვრების რეალური სტანდარტის გასაზომად რეპრეზენტატიული ციფრი არც კი იყო შემოსავლების განაწილების უთანასწორობის გამო. საქართველოს ჯინის კოეფიციენტი, რომლითაც შემოსავლების განაწილების უთანასწორობა იზომება, საკმაოდ მაღალია და 40.8-ს შეადგენს. მშპ-ის ზრდა 2011 წლის პირველ ნახევარში, სავარაუდოდ, „საბოლოო მოხმარებისა“ და „ექსპორტის“ სფეროებში ზრდის შედეგია. აღსანიშნავია ისიც, რომ მშპ-ის უდიდესი წილი თბილისზე მოდის, ხოლო რეგიონების როლი ეკონომიკური ზრდის პროცესში მცირდება. თბილისთან შედარებით, დასაქმების ნაკლები შესაძლებლობების გამო რეგიონებიდან, განსაკუთარებით მაღალმთიანი რეგიონებიდან მოსახლეობის მასობრივი მიგრაცია შეინიშნება. რაც შეეხება ქვეყნის მშპ-ის ძირითად ელემენტებს, მისი უდიდესი ნაწილი მრეწველობაზე მოდის (18.8%), რომელსაც ვაჭრობა (17.1%), ტრანსპორტი და კომუნიკაციები (12.1%) მოყვება. ლითონის შენადნობებისა და ჯართის ექსპორტი მთელი ექსპორტის დიდ ნაწილს შეადგენს და, შესაბამისად, მშპ-ის ზრდის ერთ-ერთი უმთავრესი ელემენტია.

საინტერესოა ისიც, რომ სოფლის მეურნეობის წილი მთლიან შიდა პროდუქტში მცირდება, თუმცა ისტორიულად, სასოფლო სამეურნეო პროდუქტების წარმოება საქართველოს ეკონომიკის წამყვანი დარგი იყო, ამავე დროს, ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, სამუშაო ძალის 50% სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული. თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ სოფლის მეურნეობაში უკიდურესად დაბალ პროდუქტიულობასთან გვაქვს საქმე. ეს ფაქტი, იმ ქვეყნის ეკონომიკას, სადაც სოფლის მეურნეობა ნაყოფიერი მიწებისა და გამოცდილი სამუშაო ძალის გამო ისტორიულად მთავარ ფარდობით უპირატესობად ითვლებოდა, დიდ საფრთხეს წარმოადგენს. არსებული ტენდენცია კი დამუშავებული მიწებისა და პროდუქტიულობის სწრაფ კლებას აჩვენებს. ძირითადი ვარაუდი კი, რაც შეიძლება აქედან გაკეთდეს, ის არის, რომ ამ სექტორში ინვესტიციებისა და რესურსების ნაკლებობაა, შესაბამისად სექტორში არსებული კაპიტალი ძალიან მცირეა.

გარდა ამისა, ირიგაციისა და დრენაჟის სისტემები სოფლის მეურნეობის განვითარების კიდევ ერთ შემაფერხებელ ფაქტორად არის მიჩნეული. პრობლემის გადაუჭრელობა კი ქვეყანას სურსათის წარმოებაში თავის ფარდობით უპირატესობას დააკარგვინებს.

მთლიანი ეროვნული შემოსავალი 2011 წლის პირველ კვარტალში, ქვეყნის მთლიანი ეროვნული შემოსავალი, ანუ საქართველოში წარმოებული საქონლისა და მომსახურების ღირებულება 4,994.8 მილიონი ლარის ტოლია, რაც გასული წლის პირველი კვარტლის მაჩვენებელს 4,233.6 მილიონ ლარს აღემატება, თუმცა წინა წლის დანარჩენი კვარტალების მაჩვენებელს ჩამოუვარდება. მთლიანი ეროვნული შემოსავლის ზრდამ 2011 წლის პირველ კვარტალში დაახლოებით 18 პროცენტი შეადგინა, რაც 2%-ით ნაკლებია მთლიანი ეროვნული შემოსავალის ზრდაზე.მთლიანი ეროვნული შემოსავალი უდრის მშპ-ის პლუს წმინდა შემოსავალი მიღებული დანარჩენი მსოფლიოსგან. ამიტომ ქვეყანას, რომლის ვალებიც იზრდება და რომელიც ამ ვალებს როგორც შემოსავალს ხარჯავს, მაღალი მშპ და დაბალი მთლიანი ეროვნული შემოსავალი ექნება. მეტიც, თუ ქვეყანა თავის რესურსებს სხვა ქვეყანას მიყიდის, ესეც მშპ-ის ზრდას გამოიწვევს, თუმცა მთლიან ეროვნულ შემოსავალს შეამცირებს. საქართველოს საგარეო ვალი ომისა და კრიზისის შემდგომ წლებში აღმავალი ტენდენციით გამოირჩევა.

## ესტონეთის ეროვნული არქივის დელეგაცია რუსთავის იუსტიციის სახლს ეწვია

ესტონეთის ეროვნული არქივის დელეგაცია რუსთავის იუსტიციის სახლს ეწვია.



დელეგაციის წევრები — ესტონეთის სახელმწიფო არქივის ხელმძღვანელი მარე ოლდე, ესტონეთის ეროვნული არქივის გენერალური დირექტორის მოადგილე მარგე ტიდუსი, ციფრული დაცვის ბიუროს პროექტების მენეჯერი კოიტ საარევეტი და ესტონეთის არქივის სხვა წარმომადგენლები საქართველოში გუშინ ჩამოვიდნენ და ეროვნული არქივის გენერალურ დირექტორს თეონა იაშვილს შეხვდნენ.

მხარეებმა ისაუბრეს მომავალი თანამშრომლობის გეგმებსა და ერთობლივი პროექტების განხორციელების პერსპექტივებზე.

ვიზიტის ფარგლებში სტუმრები საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ახალი ბრენდის - იუსტიციის სახლის კონცეფციას და სახელმწიფო მომსახურების სფეროში ქვეყანაში გატარებული რეფორმების შედეგებს გაეცნენ.

დელეგაციის წევრებმა ახალი შენობა დაათვალიერეს და იუსტიციის სახლის სერვისებს გაეცნენ. იუსტიციის სახლის ელჩებმა მათ ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდეს თვითმომსახურების, სწრაფი და ხანგრძლივი მომსახურების სივრცეების შესახებ.

იუსტიციის სახლები უკვე ფუნქციონირებს ბათუმში, რუსთავსა და მესტიაში. სულ მალე იუსტიციის სახლი ქუთაისშიც გაიხსნება.

**მედიანიუსი**

# ავთანდილი კოლექციას ფასდაკლებით ყიდის

ეკა ირემაშვილი



საქართველოში პირველად უპრეცედენტო გამოფენა-გაყიდვა — „თბილისი სიმფლ სეილი“ გაიმართება. „გრატო პასაჟში“ თბილისში არსებული ცნობილი ბრენდების მაღაზიები და ქართველი დიზაინერები თავიანთ კოლექციებს დიდი ფასდაკლებით წარმოადგენენ. მსოფლიოში ცნობილ ბრენდებთან და ქართველ დიზაინერებთან ერთად ამ პროექტში ავთანდილიც მიიღებს მონაწილეობას და საკუთარ კოლექციას მყიდველისთვის ფასდაკლებით გამოიტანს. როგორც დიზაინერი ამბობს, მსურველს შესაძლებლობა მიეცემა, ავთანდილის 800 ლარიანი კაბა სულ რაღაც 200 ლარადაც შეიძინოს.

ამ გრანდიოზულ აქციაში ჩართვის პარალელურად, ავთანდილის უახლესი კოლექცია მსოფლიო ბრენდებთან ერთად ჟურნალ „ნუმეროში“ მოხვდა. გალიანო, მაქქვინი, ვალენსიაგა — მათი კოლექციების გვერდით ქართველი დიზაინერის ნამუშევრებიც გამოჩნდა. 27 სექტემბერს კი პარიზში დახურულ ჩვენებაზე ავთანდილის უახლესი კოლექცია იქნა წარმოდგენილი. 10 დღის განმავლობაში მსოფლიო წამყვანი ბრენდები და მათთან ერთად ავთანდილი თავისი ნამუშევრებით მოდის კრიტიკოსთა და ბაიერთა წინაშე წარდგებიან. პარიზში ევროპის 30 სხვადასხვა ბუტიკი, მათთან ერთად ნიუ იორკისა და რუსეთის ბაზრებია წარდგენილი, სადაც შეკვეთილი იქნება საცდელი ერთეულები უახლესი კოლექციებიდან. ეს ყველაფერი იმის დასტურია, რომ ავთანდილის ბრენდი ნელ-ნელა შედის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ბაზარზე.

ავთანდილის მიერ მოდის მოყვარულებისთვის შეთავაზებული 2012 წლის გაზაფხული-ზაფხულის კოლექციის ფოტოსესიაზე მუშაობა უკვე მიმდინარეობს. დიზაინერმა კოლექცია აფრიკელი ქალის შთაგონებით შექმნა. მომავალ წელს ყველაზე მოდური ბუნებასთან მიახლოებული ფერის ქსოვილებით შექმნილი ტანისამოსია. ნატურალური მწვანე, ლურჯი, აგურისფერი, თეთრი ფერებით დომინირებული სამოსი მომავალ წელს ყველაზე აქტუალური და მოდური იქნება.

ოქტომბრის თვეში ავთანდილი კიდევ ერთხელ მოექცევა მსოფლიო მოდის ყურადღების ცენტრში — „ვოგი პარიზის ფურცლებზე“ მისი კოლექცია ალექსანდრე მაქქვინთან და ივ სელ ლორანის კოლექციებთან ერთად დაიბეჭდება.

საქართველოში პირველად ჩატარებული „სიმფლ სეილი“ კი მსოფლიოში უკვე კარგად აპრობირებული სავაჭრო აქციაა, რომელიც როგორც გამყიდველისთვის, ასევე მყიდველისთვის მომგებიანია. ამ დღეებში ნებისმიერ მსურველს ეძლევა შანსი, მსოფლიოში ცნობილი ბრენდების სამოსი ყველაზე ხელსაყრელ ფასად შეიძინოს. უპრეცედენტო აქცია 2 ოქტომბრის ჩათვლით გაიმართება.

# მცხეთას ომისგან თავისუფალი ქალაქების სიაში შეიყვანენ

ეკა ირემაშვილი

მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა მართავს 4 დღიან მნიშვნელოვან შეხვედრებს საერთაშორისო პროექტის — ომისაგან თავისუფალი მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შესული ქალაქების — ფარგლებში. სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში“ უკვე შედგა გახსნითი ცერემონიალი, რომლის შემდეგაც პროექტის უცხოელი პარტნიორები გაემგზავრნენ მცხეთაში, რათა ადგილზე შეესწავლათ არსებული მდგომარეობა.

„კიდევ ერთი ნაბიჯი მსოფლიო მემკვიდრეობის დასაცავად“ — ასე შეაფასეს საერთაშორისო პროექტში მონაწილე მხარეებმა ეს პროექტი, რომელიც ითვალისწინებს სამუშაო შეხვედრებს, რომლის შედეგად მომზადდება რისკის მზადყოფნის გეგმა, რაც წარმოადგენს წინაპირობას იმისა, რომ მცხეთის მსოფლიო მნიშვნელობის მემკვიდრეობას მიენიჭოს გაძლიერებული დაცვის სტატუსი ჰააგის კონვენციის თანახმად.

— ეს კვლევა ხდება პროექტის ფარგლებში, რომელიც მოიცავს ომისგან თავისუფალი მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შესული ქალაქების განსაზღვრას. პროექტის ძირითადი მიზანია განსაკუთრებული დაცვის სტატუსი მიიღოს ორმა ქალაქმა — მცხეთამ საქართველოში და ბიბლუსმა ლიბანში. შეხვედრების მიზანია რისკის მზადყოფნის გეგმა მომზადდეს, რის შემდეგაც, შესაძლოა მცხეთას ჰააგის კონვენციის თანახმად, გაძლიერებული დაცვის სტატუსი მიენიჭოს. 4-დღიანი სამუშაო შეხვედრების განმავლობაში ექსპერტები და პროექტის უცხოელი პარტნიორები მცხეთას და მის მიმდებარე ტერიტორიებს დაათვალიერებენ, რათა არსებული მდგომარეობა ადგილზე შეისწავლონ. პროექტი მცხეთის მუნიციპალიტეტისა და უცხოური დონორი ორგანიზაციების ორგანიზებით ხორციელდება. ჩვენთვის დიდი პატივია, რომ საქართველოს ამ საქმეში წამყვანი სპეციალისტები სტუმრობენ და ამ თემაზე საერთაშორისო დონეზე მსჯელობენ. იმედს ვიტოვებთ, ყველაფერი დადებითად გადაწყდება, — განაცხადა მცხეთის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარემ თემურ აბაშიძემ.

ქართველ ექსპერტებთან ერთად შეხვედრებს ესწრებიან ვოტჩის გენერალური მდივანი, დოქტორი კლაუდიო ჩიმინო, ბოლონიის უნივერსიტეტის პროფესორი ჯუზეპო მაინო, ავსტრიის შეიარაღებული ძალების პოლკოვნიკი მიხეილ პეზენდორფერი, ლიბანის ამერიკული უნივერსიტეტის პროფესორი რაშიდ ჩამონი.

— შეხვედრების ფარგლებში განვიხილავთ მცხეთასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებს. ჩვენ საერთაშორისო შეხვდრებისა და სემინარის გარდა, უშუალოდ დავათვალიერებთ მცხეთას, ადგილზე შევისწავლით ამ ქალაქს და ასევე გავეცნობით იმ მნიშვნელოვან ადგილებს, რომლებიც მცხეთაშია. ეს ქალაქი ნამდვილად იმსახურებს ომისგან თავისუფალი ქალაქების სიაში მოხვედრას, — აღნიშნა ლიბანის უნივერსიტეტის პროფესორმა რაშიდ ჩამონიმ.

მცხეთის მუნიციპალიტეტთან ერთად პროექტის პარტნიორები არიან ბიბლუსის გაერთიანებული მუნიციპალიტეტების საბჭო (ლიბანი), ასევე თურქეთისა და იტალიის ქვეყნების წარმომადგენლები.

# ძველ თბილისს პანორამული რუკა აქვს

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს არტ□კაფეში ძველი თბილისის პანორამული რუკის პრეზენტაცია შედგა. რუკები საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით კომპანიამ „ჯეოლენდი“ დაბეჭდა და გამოსცა.

პრეზენტაციას საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე დავით ცხადაძე, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ზაალ სადამაშვილი, ტურიზმის ეროვნული სააგენტოს დირექტორი მაია სიდამონიძე, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობისა და ძეგლთა დაცვის სააგენტოს გენერალური დირექტორი ნიკოლოზ ვაჩეიშვილი, მოწვეული სტუმრები და კომპანია „ჯეოლენდის“ წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

— რუკა მოიცავს თბილისის ისტორიულ ნაწილს — მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მთაწმინდიდან აბანოთუბნის და მარცხენა სანაპიროს ნაწილს□მიხეილ ჯავახიშვილის ქუჩიდან ავლაბრის მოედნის ჩათვლით. რუკაზე აღნიშნულია ამ სივრცეში არსებული ყველა ნაგებობა. მათ შორის კულტურის ობიექტები, ღირსშესანიშნაობები, ხუროთმოძღვრული ძეგლები და ადმინისტრაციული შენობები. ამიტომ, ჩვენს სამინისტროს მიაჩნია, რომ ეს რუკა თბილისელებისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი და ღირებულია. აღნიშნული რუკა არის დასაწყისი იმ პროექტისა, რომელიც უფრო გაფართოებული რუკის გამოცემას გულისხმობს, — განაცხადა პრეზენტაციაზე დავით ცხადაძემ.

რუკაზე ხელითაა დახატული ძველი თბილისის ის შენობები, რომელიც გამორჩეულია კულტურული და ეროვნულ-კულტურული მემკვიდრეობის ნიშნით. მათ თან ერთვის შესაბამისი აღწერილობაც. აღმაშენებლის გამზირის რეკონსტრუქციის დასრულებისთანავე კულტურის სამინისტრო გამოსცემს პანორამული რუკის განახლებულ ვერსიას მტკვრის მარცხენა სანაპიროს ჩათვლით. თბილისის ისტორიული უბნების პარალელურად კი იგეგმება მესტიის, სიღნაღის, ქუთაისის, ყვარლის, მცხეთის, თელავის პანორამული რუკების გამოცემა.

— პროექტზე მუშაობა ოთხი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა და საკმაოდ შრომატევადი იყო. მოხდა ყველა შენობის ფოტოგრაფირება. ამ რუკის ორიგინალი გაცილებით დიდია, რათა მასზე ყველა დეტალის დატანა შესაძლებელი ყოფილიყო. რუკის შექმნაში დიდი წვლილი მიუძღვის მხატვარ გიორგი ძამოევს, რომელმაც ეს იდეა მოგვაწოდა, — განაცხადა პრეზენტაციაზე „ჯეოლენდის“ დირექტორმა ირაკლი უგულავამ.

## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი. ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი
იღუმენია ანა (მუსელიანი)

## SMS-განცხადებები - 3090

### იყიდება

● იყიდება მიწის ნაკვეთი 2000 კვ. მეტრი. თბილისთან ახლოს, გარდაბნის რაიონის სოფ. კუმისში. ფასი შეთანხმებით. ტელ. 557-47-07-26. დარეკეთ ნებისმიერ დროს. დათო.

## განცხადებები

● მკურნალობა უმაღლესი შედეგებით: ოსტეოქონდროზი, სმენისა და მხედველობის დაქვეითება, თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, უძილობა, კუჭ-ნაწლავის დაავადებები, რადიკულიტი, ჰეპატიტი, სახსრების დაავადება, კიდურებში სიცივე და დაბუჟება, მასტიტი, ნეფრიტი, შარდსასქესო სისტემის დაავადებები, პროსტატიტი, ნეიროდერმიტი და სხვა. ტელ: 595 45 50 35; 599 97 85 46 ბ-ნი ლევანი.

● ლომთათიძე — პოლიკნიკის დირექტორი მკურნალობს: ფრჩხილების სოკოს, კანის დაავადებებს, ფურუნკულს, ტროპიკულ წყლულს, თმის ცვენას, ბუასილს უოპერაციოდ, ეგზემას, ფსორიაზს, მარილების დაგროვებას, პროსტატიტს, A,B,C ჰეპატიტს, მეჭეჭებს, პაპილომებს, ხორცმეტებს, ფეხების ოფლიანობას, თვალების გარშემო ცხიმგროვას. მის: აღმაშენებლის №93, ტელ: 2-96-38-27; 893-39-04-87 ირინა. კონსულტაცია უფასოა.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა, თვეში 3-5 სმ მომატებით 25 წლამდე, ძვლის აქტიური კვება-ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე უნებლიე შარდვის (ენურეზის) მკურნალობა როგორც ბავშვებში, ასევე მოზრდილებში. ასევე გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა უკუჩვენების გარეშე, 100% შედეგებით. ტელ: 599-964-494; 234-02-38 ექიმი სალომე.

● იყიდება, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში (თბილისიდან 30 კმ-ში), 2000 კვ.მ. საკარმიდამო მიწის ნაკვეთი ხეხილით, სასმელი და სარწყავი წყლით (შეიძლება ნაწილ-ნაწილად). 1 კვ.მ.-ის ფასი 2 დოლარი. ტელ: 568-657-486; 253-15-87.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 558-96-89-15 ან 234-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 234-02-38; 558-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● მაღალკვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლები მოამზადებენ აბიტურიენტებს, მაგისტრანტებსა და მოსწავლეებს ეროვნული და საატესტატო გამოცდებისთვის ყველა საგანში, ოთხი საგანი 160 ლარი. ტელ: 239-08-42; 599-48-39-13.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მკურნალობა (მწვავე და ქრონიკული, გასტრიტი, სველი და მშრალი კოლიტი, ენტერიტი, ყაზბობა, დიარეა, დისბაქტერიოზი), ორგანიზმის წმენდა ტოქსინებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, უკუჩვენების გარეშე, 100%-იანი შედეგებით. ტელ: 599-964-494; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი სალომე.

● ჰორმონალური პრობლემის მოწესრიგება, ციკლის დარღვევები, კლიმაქსური ფონის მოხსნა, სიმსივნური პროცესის შეჩერება (იმუნიტეტის გაძლიერება) მცენარეული საშუალებებით. ტელ: 234-02-38; 790-503-411 ქ-ნი ნონა.

# პროგრამა მინიმუმი შესრულებულია, ჯერი მაქსიმუმზეა

**საქართველო — რუმინეთი 25:9**

**საქართველო:** 15. ლაშა ხმალაძე, 14. რევაზ გიგაური, 13. დავით კაჭარავა, 12. თედო ზიბზიბაძე, 11. ალექსანდრე თოდუა, 10. მერაბ კვირიკაშვილი, 9. ირაკლი აბუსერიძე; 1. დავით ხინჩაგიშვილი, 2. ჯაბა ბრეგვაძე, 3. დავით ზირაქაშვილი, 4. ილია ზედგინიძე, 5. ვახტანგ მაისურაძე, 6. გიორგი ჩხაიძე, 7. მამუკა გორგოძე, 8. დიმიტრი ბასილაია;

**სათადარიგოები:** 16. გოდერძი შველიძე, 17. ვასილ კაკოვონი, 18. ლევან დათუნაშვილი, 19. გივი ბერიშვილი, 20. ბიძინა სამხარაძე, 21. ირაკლი ჩხიკვაძე, 22. მალხაზ ურჯუკაშვილი

**1 ლელო:** გორგოძე

**1 რეალიზაცია:** კვირიკაშვილი

**6 ჯარიმა:** კვირიკაშვილი (5), ურჯუკაშვილი

**რუმინეთი:** 15. იულიან დუმიტრაში, 14. სტეფან ჩინტუ, 13. ჩობა გალი, 12. იონუც დიმოფტე, 11. მედელინ ლემნარუ, 10. დენუც დუმბრავა, 9. ფლორინ სურუჯიუ; 1. მიხაიცა ლაზარი, 2. მარიუს ტინკუ, 3. პაულიკა იონი, 4. ვალენტინ ურსაჩე, 5. კრისტიან პეტრე, 6. მიხაი მაკოვეი, 7. ოვიდიუ ტონიცა, 8. დანიელ კარპო;

**სათადარიგოები:** 16. ბოგდან ზებეგა, 17. სილვიუ ფლორეა, 18. ვალენტინ პოპირლანი, 19. დანიელ იანუსი, 20. ვალენტინ კალაფეტეანუ, 21. კონსტანტინ გეარა, 22. ფლორინ ვლაიკუ

**3 ჯარიმა:** დუმბრავა (2), ვლაიკუ

საქართველოს ნაკრებმა ახალ ზელანდიაში მიმდინარე მსოფლიოს თასზე ბ ჯგუფში მესამე მატჩი რუმინეთის ნაკრებთან გამართა და ანგარიშით 25:9 გაიმარჯვა. 2011 წლის მსოფლიოს თასზე ეს "ბორჯღალოსნების" პირველი გამარჯვებაა. ამით, ნაკრების ხელმძღვანელობამ პროგრამა მინიმუმი, რომელიც დაისახა, შეასრულა. ახლა ჯერ მაქსიმუმზეა, რომელის შედეგიც 4 დღის შემდეგ იმავე პელმერსტონში, არგენტინის ნაკრების წინააღმდეგ უნდა დაიდოს.

რუმინელებთან მატჩი ჩვენებმა ძალიან ნერვიულად დაიწყეს და რამდენიმე უხეში შეცდომაც დაუშვეს, რომელიც საბედნიეროდ, რუმინელებმა ვერ გამოიყენებს. ანგარიშის გახსნის შანსი მეხუთე წუთზე ჩვენს მეტოქეებს ჰქონდათ, თუმცა დუმბრავამ ჯარიმა არაზუსტად შეასრულა. სამაგიეროდ, სამიოდე წუთში თავისი საჯარიმო ზუსტად დაარტყა მერაბ კვირიკაშვილმა და "ბორჯღალოსნები" დააწინაურა.

პასუხად დუმბრავამ საჯარიმო ამჯერად ზუსტად დაარტყა, რასაც მეკოს ორი ზუსტი გასროლა მოჰყვა. ტაიმის ბოლოს დუმბრავამ და მეკომ თითო ჯარიმაც გაცვალეს და თანაბარ პირველ ტაიმში ჩვენებმა 12:6 იმარჯვეს.



თანაბარი ვახსენეთ, თორემ რუმინელებს ჩვენს 22-ში თითქმის არ შემოუღწევიათ, ხოლო დიქსონის შეგირდები რამდენჯერმე მივიდნენ მათ ჩასათვლელ მოედანზე, მაგრამ განსაკუთრებული ხიფათით არც ჩვენები გამოირჩეოდნენ. მოედანზე ძირითადად ტაქტიკური ბრძოლა იყო გაჩაღებული, რომელშიც „ბორჯღალოსნებმა" იმარჯვეს.

მეორე ნახევარში "ბორჯღალოსნების" სათამაშო უპირატესობა გამოიკვეთა. თითო საჯარიმო კვირიკაშვილმა და დუმბრავამ გააცუდეს, ამის შემდეგ კი ქართველთა კარგი შეტევა, 57-ე წუთზე, მამუკა გორგოძის გატანილი ლელოთი დაგვირგვინდა. რეალიზაცია კვირიკაშვილმა ზუსტად შეასრულა.

ყველაფერი კი რუმინელთა ჯარიმას მოჰყვა — ჩვენები მეტოქის ნახევარზე დაჯარიმდნენ, რუმინელებმა აუტში კი გადაიტანეს სწორად, მაგრამ მათი დერეფანი ჩხაიძემ მოიგო, რასაც ქართველთა რამდენიმე ფაზიანი შეტევა მოჰყვა, რომელშიც თითქმის მთელი გუნდი მონაწილეობდა. ჩვენების დაწოლამ 3 წუთამდე გასტანა და რუმინელებიც გატყდნენ — გორგოძემ კარგად აიტაცა ბურთი და მეტოქის ჩათვლის მოედანში ჯიქურ შეიჭრა.

რუმინელთა მცდელობას, დარჩენილ დროში თამაშში გარდატეხა შეეტანა, შედეგი არ მოჰყოლია — შეხვედრის მიწურულს რუმინელებმა მხოლოდ ერთი საჯარიმოს გატანა შეძლეს, მანამდე კი თავ-თავიანთი საჯარიმოები ჯერ კვირიკაშვილმა, შემდეგ კი მალხაზ ურჯუკაშვილმა ზუსტად დაარტყეს და შეხვედრის საბოლოო ანგარიში 25:9 დააფიქსირეს.

აღსანიშნავია, რომ ამ სამმა ქულამ ურჯუკაშვილი საქართველოს ნაკრების საუკეთესო მექულეებში ერთპიროვნულად დააწინაურა. აქამდე ის „ბორჯღალოსანთა" ყველა დროის ბომბარდირობას 320 ქულით პავლე ჯიმშელაძესთან ინაწილებდა, ახლა კი, ერთპიროვნულად გალიდერდა. და ერთი რეკორდიც — აქამდე საქართველოს ნაკრებს რუმინელებთან ყველაზე დიდი სხვაობით 2008 წელს, 15 ქულით ჰქონდათ მოგებული (22:7), ახლა კი, ეს მაჩვენებელი ერთი ქულით გაუმჯობესდა

### მატჩის შემდეგ

**ილია ზედგენიძე:**

— ძალიან გვინდოდა ამ თამაშის მოგება და გავიმარჯვეთ კიდეც. რუმინეთს ძალიან კარგი ნაკრების ჰყავს, მაგრამ ცოტა დაღლილები ჩანდნენ და ვაჯობეთ. მადლობა ყველას — ჩვენს ბიჭებს და გულშემატკივრებს, რომლებიც მხარში გვედგნენ და გვამხნევებდნენ.

ახალ ზელანდიაში მიმდინარე მსოფლიოს თასზე თავის ბოლო მატჩს საქართველოს ნაკრები 2 ოქტომბერს არგენტინის ეროვნულ გუნდთან გამართავს. შეხვედრა თბილისის დროით დილის 4 საათზე დაიწყება.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ინგლისი | 3 | 3 | 0 | 0 | 121:22 | 14 |
| 2.არგენტინა | 3 | 2 | 0 | 1 | 65:33 | 10 |
| 3.შოტლანდია | 3 | 2 | 0 | 1 | 61:43 | 10 |
| 4.საქართველო | 3 | 1 | 0 | 2 | 41:65 | 4 |
| 5.რუმინეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 44:180 | 0 |

**დარჩენილი მატჩები:**

**1 ოქტომბერი.** ოკლენდი. ინგლისი-შოტლანდია;
**2 ოქტომბერი.** პალმერსტონი. არგენტინა-საქართველო

# იბერიელმა ბრაზილიელებმა ბელარუსებთან გაილაღეს

**იბერია სტარი (საქართველო) — მაპიდი (ბელარუსი) 4:0 (0:0)**

*1:0 ლუის ბაპტისტა (23:27), 2:0 ლუის ბაპტისტა (24:02), 3:0 ედუ (25:01), 4:0 რონინიო (31:16)*

**იბერია სტარი:** ტონი, ბეტინიო, რონინიო, ბრუნო მელო, რომარიო; ერნესტ აკოპოვი, ედუ, ალექსანდრე ძაბირაძე, გიორგი ალთუნაშვილი, ლუიზ ბაპტისტა, გალაკტიონ ზოიძე, ვახტანგ ჯვარაშვილი

**მაპიდი:** ანდრეი ჩურილინი, ვლადიმირ ლევუსი, ალეკსანდრ ოლშევსკი, სერგეი პოდალინსკი, ანდრეი მალინოვსკი; ალექსანდრე სავინცევი, დმიტრი აჩაპოვსკი, ალექსანდრ სავინცევი, ვიტალი ბიჩენკოვი, სერგეი სილივონჩიკი, დმიტრი ელისეევი, ალექსეი პოპოვი, ვადიმ ლუჩკოვსკი

თბილისის სპორტის სასახლეში დაიწყო 2012 წლის უეფას ფუტსალის თასის ძირითადი ეტაპი ჯგუფური ტურნირი.

თბილისის „იბერია სტარმა" პირველი მატჩი ბელარუსულ მაპიდთან გამართა და პირველი გამარვებაც იზეიმა — 4:0.

საბოლოო ანგარიშის მიუხედავად, იოლი ნამდვილად არ ყოფილა. მართალია, ოლეგ სოლოდოვნიკის შეგირდები პირველ ტაიმში დიდ უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ გოლის გატანა ვერ მოახერხეს. არადა, ამის რამდენიმე კარგი შანსი ჰქონდათ. რამდენჯერმე ბელარუსთა კარი ძელმაც იხსნა, თუმცა ერთხელ მხსნელად ხარიხა ჩვენც მოგვევლინა.

შესვენების შემდეგ, „იბერია სტარის" ბრაზილიელებმა გაილაღეს, რომლებიც გუნდში მრავლად არიან და საბოლოო შედეგიც მათ განაპირობეს. განსაკუთრებით აქტიურად ლუის ბაპტისტა გამოიყურებოდა, რომელმაც ორი გოლის გატანას 35 წამი მოამდომა. პირველი გოლი ეფექტური გამოდგა — რონინიოს პასის შემდეგ ბაპტისტამ ქუსლით გაიტანა.

მალევე მინსკელთა მეკარემ უხეიროდ ითამაშა — მის მიერ მოგერიებული ბურთი ბაპტისტას მოხვდა და მასპინძლები კიდევ უფრო დაწინაურდნენ.

ცოტა ხანში, ედუმ ანგარიში სამამდე გაზარდა. სხვათა შორის, ეს გოლი ერთ-ერთი გამორჩეული იყო ბეტინიომ კარგად გაიყვანა მარცხნივ ედუ, რომელმაც მახვილი კუთხიდან ძლიერად დაარტყა. თამაშს წერტილი კი, რონინიომ დაუსვა — ბრაზილიელმა ქართველმა ბურთი ჯერ ბელარუს ფეხბურთელს გაუტარა ფეხებს შორის, შემდეგ კი ჭვინტით იგივე მაპიდის მეკარეს დამართა.

**ოლეგ სოლოდოვნიკი:**

— შედეგით კმაყოფილი ვარ. ბელარუსებს სერიოზული გუნდი ჰყავთ. ისინი დაცვიდან თამაშობდნენ და აქცენტს კონტრშეტევებზე აკეთებდნენ. ჩვენ მეტოქის გასატეხად პირველი გოლი გვჭირდებოდა.

პირველ დღეს კიდევ ერთი მატჩი შედგა — სლოვაკეთის „სლოვმატიკმა" და □—ჟენევამ" 5:5 ითამაშეს. აქ თავიდან სლოვაკები დაწინაურდნენ, თუმცა შვეიცარიელებმა პირველი ტაიმში გაათანაბრეს ანგარიში. მეორე ტაიმში უპირატესობას სლოვაკები ფლობდნენ, მაგრამ ყოველთვის ორბურთიანი ჩამორჩენის ამოქაჩვა უხდებოდათ. შვეიცარიელები ჯერ 3:1 დაწინაურდნენ, შემდეგ 5:3, მაგრამ სლოვაკებმა ქულის გადარჩენა მაინც მოახერხეს.

გუშინ „იბერია სტარი" შვეიცარიულ □„ჟენევას" ხვდებოდა და თამაში მოგვიანებით დასრულდა, რომელზეც ხვალინდელ ნომერში გიამბობთ.

# ჩემპიონთა ლიგა სენსაციებით გრძელდება

**ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპი თანდათან ხურდება და თანდათან იკვეთება ფავორიტებიცა და აუტსაიდერებიც.**

**ა ჯგუფი**

**ბაიერნი-სიტი 2:0 (2:0)**

*1:0, 2:0 გომესი (38, 45)*

ტურის ცენტრალური მატჩი მიუნხენში გაიმართა, სადაც „ბაიერნმა" და „მანჩესტერ სიტიმ" საკმაოდ საინტერესოდ და დაძაბულად იპაექრეს. თითქმის თანაბარ პირველ ტაიმში მასპინძლებმა ბოლოში იძალეს და შესვენებაზე ორბურთიანი ჰანდიკაპით გავიდნენ. ასეთ შემთხვევებში კი ბავარიელები უპირატესობას ხელიდან არ უშვებენ და გამარჯვების ბოლომდე მიყვანა არ გასჭირვებიათ.

თუმცა, საკამათო ეპიზოდები მატჩში მრავლად იყო — ორჯერ პენალტს სტუმრები ითხოვდნენ, ერთხელ — მასპინძლები. ასევე საეჭვოა, ბავარიელთა მიერ გატანილი გოლი, თუმცა დარწმუნებით ვერავინ იტყვის, რომ მარიო გომესი თამაშგარე მდგომარეობაში იმყოფებოდა.

მიუნხენელებმა ანგარიში 38-ე წუთზე რომ გახსნეს, მანჩესტერელებმა თავიანთ მცველებს უბდა დააბრალონ — ფრენკ რიბერის დარტყუმული ბურთი იან ჰარტმა მოიგერია, შემდეგ ტომას მიულერმა 5 მეტრიდან დაამატა და ჰარტმა ისევ იყოჩაღა, მაგრამ მცველებმა ამჯერად გომესის გადაკეტვა ვერ მოასწრეს და მანაც ცარიელ კარში გაიტანა.

დაახლოებით ანალოგიურად გავიდა მეორე გოლიც — რიბერის ჩაწოდებულ ჯარიმაზე ყველას ვან ბუიტენმა დაასწრო და კარში დაარტყა, მაგრამ ჰარტმა ისევ იყოჩაღა, თუმცა გომესიც იქვე იყო ჩასაფრებული და — 2:0.

მე-2 ნახევარში „ბაიერნმა" სიტის გასაქანი არ მისცა. მეტიც, ბრწყინვალედ მოთამაშე ჰარტმა ჯერ ბასტიან შვაინშტაიგერს აული შორიდან გასროლილი, შემდეგ კი გომესის თავური დარტყმაც მოიგერია. ბავარიელებმა კი ზედიზედ მეორე მატჩი მოიგეს და ჯგუფს სათავეში ჩაუდგნენ.

**ნაპოლი-ვილიარეალი 2:0**

*1:0 ჰამშიკი (14), 2:0 კავანი (17პ)*

ამ მატჩშიც მასპინძლებმა ორბურთიანი სხვაობით იმარჯვეს. ეს კი სავალალო შესაძლოა, ესპანური გუნდისთვის გამოდგეს, რომლებმაც საქმე ძალიან გაირთულეს.

მასპინძლებმა საქმე დასაწყისშივე მოილიეს. მე-14 წუთზე, მარჯვენა ფლანგიდან ეზეკიელ ლავესის კარგი პასის შემდეგ საჯარიმოში თითქმის მარტო დარჩენილმა ჰამშიკმა მეტოქის კარს ბურთი მშვიდად გაიტანა და ანგარიშიც გახსნა. სამ წუთში კი, სტუმრებმა ბურთი მოედნის ცენტრში დაკარგეს, რასაც ნეაპოლელთა კონტრშეტევა მოჰყვა, ამ ყველაფერს კი საჯარიმოში როდრიგსის წაქცევა. პენალტი კავანიმ შეასრულა, რომელმაც მეკარეს შანსი არ დაუტოვა და შეხვედრას წერტილი დაუსვა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| 2.ნაპოლი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| 3.სიტი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| 4.ვილიარეალი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |

**ბ ჯგუფი**

**ცსკა-ინტერი 2:3 (1:2)**

*0:1 ლუსიო (6), 0:2 პაცინი (23), 1:2 ძაგოევი (45), 2:2 ვაგნერ ლავი (77), 2:3 სარატე (79)*

პირველ ტურში საშინაო სენსაციური მარცხის შემდეგ „ინტერმა" როგორც იქნა გამარჯვება მოიპოვა. ეს კი კლაუდიო რანიერის დანიშვნის შემდეგ ზედიზედ მეორე საგარეო გამარჯვება გამოდგა.

იტალიის ჩემპიონატში მოგების შემდეგ, მილანელებმა ახალი მწვრთნელის დებიუტი ჩემპიონთა ლიგაზეც მოგებით აღნიშნეს. მოსკოვში გამართულ მატჩში, „ნერაძურიმ" ტაიმის პირველ ნახევარში სოლიდური უპირატესობა მოიპოვა, მაგრამ მილანელებმა იმდენი მოახერხეს, რომ თავიანთი გულშემატკივრები მაინც ანერვიულეს.

ანგარიში მე-6 წუთზე გაიხსნა, როდესაც კუთხურის მოწოდების დროს გამოსვლაზე ცუდად მოთამაშე გაბულოვი ლუსიომ დასაჯა. 23-ე წუთზე გოლი უკვე პაცინიმ გაიტანა და თითქოს ყველაფერი აქ მორჩა. თუმცა, არმიელები მარცხს არ შეეგუენ — 45-ე წუთზე, ძაგოევმა სეზარის შეცდომით ისარგებლა და საჯარიმო დარტყმით ერთი ბურთი გაქვითა. 77-ე წუთზე კი, ვაგნერ ლავმა ინდივიდუალურად გაიბრწყინა და საჯარიმოში მარცხენა ფლანგიდან შეჭრილმა სეზარს ახლო კუთხეში გაუტანა.

მილანელებს მხსნელად შეცვლაზე შესული სარატე მოევლინათ, რომელმაც 79-ე წუთზე, კამბიასოს გადაცემის შემდეგ ბურთი მკერდით მიიღო და საჯარიმოს წინა ხაზიდან ძალზე ზუსტი დარტყმით ლამაზი გოლი გაიტანა და გუნდს 3 ქულა მოუტანა.

**ტრაბზონსპორი-ლილი 1:1**

*0:1 სოვი (31), 1:1 კოლმანი (75, პენ)*

ბ ჯგუფში ყველასგან მოულოდნელად ლიდერობას ინარჩუნებს ჩემპიონთა ლიგის დებიუტანტი „ტრაბზონსპორი". მართალია, თურქულმა კლუბმა „ლილთან" საშინაო შეხვედრაში ამჯერად მხოლოდ ქულა მოიპოვა, მაგრამ პირველობისთვის ესეც საკმარისი აღმოჩნდა.

საფრანგეთის ჩემპიონმა ზედიზედ მე-2 მატჩში გაუშვა გამარჯვება ხელიდან მაშინ. თურქეთში გამართულ შეხვედრაში სტუმრებმა გოლი 31-ე წუთზე, მუსა სოვის მახვილი კუთხიდან ზუსტი დარტყმის წყალობით გაიტანეს, მაგრამ შეხვედრის დასრულებამდე 15 წუთით ადრე, დებუშიმ საკუთარ საჯარიმოში ხელით

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# შედეგები

**ფეხბურთი**

**ევროპის ჩემპიონთა ლიგა**

ცსკა-ინტერი ........ 2:3
ბაიერნი-სიტი ........ 2:0
ლიონი-დინამო(ზ) ........ 2:0
მანჩესტერი-ბაზელი ........ 3:3
ნაპოლი-ვილიარეალი ........ 2:0
ოცელული-ბენფიკა ........ 0:1
რეალი-აიაქსი ........ 3:0
ტრაბზონი-ლილი ........ 1:1

**ინგლისი. ჩემპიონ ლიგა**

ბარნლი-ნოტინგემი ........ 5:1
ბრაიტონი-კრ.პალასი ........ 1:3
ბრისტოლი-რედინგი ........ 2:3
ვესტ ჰემი-იფსვიჩი ........ 0:1
დერბი-ბარნსლი ........ 1:1
დონკასტერი-ჰალი ........ 1:1
ქოვენთრი-ბლექპული ........ 2:2
უოტფორი-მილუოლი ........ 2:1
პორთსმუთი-პიტერბრო ........ 2:2

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

რეინჯერსი-კილმანროკი ........ 2:0

**ფრენბურთი**

**ევროპის ჩემპიონატი**

**ქალები**

თურქეთი-ესპანეთი ........ 3:0
ჰოლანდია-აზერბაიჯანი ........ 3:1

**რაგბი**

**მსოფლიო თასი**

საქართველო-რუმინეთი ........ 25:9

**ჩოგბურთი**

**ატპ. ბანგკოკი. პაიდი**

გულბისი-ბოლელი ........ 6:7;6:7
ლუ-სოზა ........ 6:2;7;5
იანგი-ანდრეევი ........ 7:6;6:1
ბაჰინგერი-უდომჩუკე ........ 7:6;6:3
სოედა-ბეკი ........ 3:6;7:6;7:6
კამკე-ანდუჰარი ........ 6:0;6:1

**ატპ. კუალა ლუმპური. პაიდი**

ტომიჩი-ჩიპოლა ........ 2:6;2:6
ისტომინი-მატოსევიჩი ........ 6:3;6:2
მელცერი-დე ვუსტი ........ 6:0;6;4

**ვტა. ტოკიო. პაიდი**

ზვონარევა-ბენეშოვა ........ 6:1;6:2
პენი-ბარტოლი ........ 2:6;1:6
აზარენკო-ზაკოპალოვა ........ 6:3;7;5
ივანოვიჩი-კირილენკო ........ 3:6;1;6
შარაპოვა-გერგესი ........ 7:6;7:6
კვიტოვა-კინგი ........ 6:1;7:6
ვოზნიაცკი-კანეპი ........ 5:7;6:1;4:6

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# ახალი თეატრი ერევანში მიდის

ეკა ირემაშვილი

29 სექტემბერს ახალი თეატრი რიგით მეოთხე თეატრალურ სეზონს გახსნის, სადაც წარმოდგენილი იქნება ნიკა საბაშვილის სპექტაკლი „ქაღალდის წვიმა“. ამ სპექტაკლის რეჟისორი ყველაზე პრესტიჟულ თეატრალურ პრემიაზე „დურუჯი 2011“ საუკეთესო ახალგაზრდა რეჟისორად დასახელდა.




— თეატრი მორიგ სეზონს თბილისის თეატრალური ფესტივალის ფარგლებში გახსნის. ახალი თეატრი ახალ თეატრალურ სეზონს სიახლეებით ხვდება. შენობას, სადაც განთავსებულია ახალი თეატრი, შეეცვალა და განახლდა ინტერიერი. გამოიცა თეატრის სამენოვანი კატალოგი და სპექტაკლის სამენოვანი პროგრამა. „ახალ თეატრში“ გაიხსნება მეოთხე თეატრალური სეზონი ნიკა საბაშვილის სპექტაკლით „ქაღალდის წვიმა“. სპექტაკლის რეჟისორმა 2011 წელს თეატრალურ პრემიაზე „დურუჯი“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ დაწესებული პრემია „საუკეთესო ახალგაზრდა რეჟისორი“ მიიღო. აღნიშნული სპექტაკლით ახალი თეატრი მონაწილეობას იღებს თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ქართული სპექტაკლების პროგრამაში. სწორედ ქართული „შოუ ქეისის“ პირველ საფესტივალო დღეს ნახავენ უცხოელი ექსპერტები, თეატრის კრიტიკოსები და მენეჯერები ნიკა საბაშვილის „ქაღალდის წვიმას“, — აცხადებს თეატრის წარმომადგენელი ლაშა ჩხარტიშვილი.

ახალ თეატრს სხვა მნიშვნელოვანი სიახლეც აქვს. ახალი თეატრი ხანმოკლე ისტორიის მანძილზე უკვე გახდა საერთაშორისო თეატრალური ფესტივალების და ფორუმების მონაწილე. საერთაშორისო ტურნეს „ქაღალდის წვიმა“ ჰაი ფესტიდან იწყებს. 6 ოქტომბერს ნიკა საბაშვილი დასთან ერთად მიემგზავრება ერევანში თეატრალური ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალზე მონაწილეობის მისაღებად. აღნიშნული ფესტივალი ახალი თეატრის სპექტაკლით 8 ოქტომბერს დაიხურება.

— „ჰაი ფესტი“, რაც ქართულად „მაღალ ფესტივალს“ ნიშნავს, ერთ-ერთი პოპულარული ფესტივალია აღმოსავლეთ ევროპაში. მისი ორგანიზატორია „სომხეთის სამსახიობო გაერთიანება“, რომელიც დაარსდა 2000 წელს ნიდერლანდების სამეფოს „კულტურის საერთაშორისო ფონდის“ მიერ. ამ ფესტივალის ოფიციალურ პარტნიორს სწორედ ნიდერლანდების სამეფოს კულტურის ფონდი წარმოადგენს. 2001 წლიდან ერევანში ყოველწლიურად იმართება საშემსრულებლო ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი. 2006 წლიდან ფესტივალი უფრო წარმომადგენლობითი გახდა და მასში მონაწილეობას იღებდა დასავლეთ ევროპის, აზიის და დანარჩენი მსოფლიოს მრავალი ქვეყანა. მათ შორის ამერიკა, ევროპიდან — საფრანგეთი, რუსეთი, სლოვაკეთი, დიდი ბრიტანეთი, უკრაინა, ლიტვა, საქართველო, ესპანეთი, იტალია, ლიდერლანდები, შვედეთი, პოლონეთი, მაკედონია, გერმანია, ისრაელი, აზიიდან კი — სინგაპური, ყაზახეთი, ინდოეთი. ფესტივალს სამი პროგრამა აქვს, მათ შორის, საბავშვო და თოჯინების თეატრების, ახალგაზრდული და ექსპერიმენტული სპექტაკლების და მთავარი საფესტივალო პროგრამა. ფესტივალის მთავარ პროგრამაში მონაწილეობას იღებენ მხოლოდ დიდი გამოცდილების მქონე რეჟისორები. ნიკა საბაშვილი კი პირველია ახალგაზრდა რეჟისორებს შორის, რომლის სპექტაკლიც ფესტივალის მთავარ პროგრამაში მოხვდა, — აღნიშნავს ლაშა ჩხარტიშვილი.

ახალმა თეატრმა მულტიპულტის სამყაროსთან ერთად, რომელიც ახალი თეატრის სპექტაკლის „ქაღალდის წვიმა“ სპონსორია, ატარებს სახალისო ფოტო კონკურსს სახელწოდებით „მე მინდა გადავიღო ქაღალდის წვიმა“.

— იმისათვის, რომ მონაწილეობა მიიღოთ ფოტო კონკურსში, აუცილებელია გამოაგზავნოთ თქვენი ფოტო სპეციალურ მეილზე. ის ფოტო, რომელიც ყველაზე მეტ მოწონებას მიიღებს, იქნება გამარჯვებული. კონკურსი 15 სექტემბრიდან 15 ნოემბრამდე გაგრძელდება და გამარჯვებული 18 ნოემბერს გამოვლინდება, რომელსაც საჩუქრად ვიდეო კამერა გადაეცემა სპექტაკლის დაწყებამდე ახალ თეატრში. კონკურსის ჩატარება კი ახალი თეატრის ფეისბუქის გვერდზე მიმდინარეობს, — განმარტა ლაშა ჩხარტიშვილმა.

# კონსერვატორიაში ჩეხეთის დამოუკიდებლობას იზეიმებენ

ეკა ირემაშვილი

29 სექტემბერს თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში ჩეხეთის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი კონცერტი გაიმართება, რომელშიც ჩეხეთის ცნობილი ფოლკლორული ანსამბლი „ჰრადიშტანი“ მიიღებს მონაწილეობას. ღონისძიების ორგანიზატორები ჩეხეთის რესპუბლიკის საელჩო, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო და ქალაქ თბილისის მერია არიან.

ციმბალების ანსამბლი ჩეხეთის ერთ-ერთი ისტორიული კუთხის — მორავიის ძველ ქალაქ უჰერსკე-ჰრადიშტეში უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია მოღვაწეობს. მისი შთაგონების წყარო ხალხური მუსიკაა, ამიტომაც მათი რეპერტუარი სწორედ ხალხური სიმღერებით არის სავსე. ის მორავიული ციმბალების ანსამბლებიდან ერთ-ერთი უძველესი და ყველაზე ცნობილია.

ანსამბლში, რომელსაც დიდი ხნის განმავლობაში იაროსლავ სტანეკი ხელმძღვანელობდა, მუსიკოსების, მომღერლებისა და მოცეკვავეების არაერთი თაობა გაიზარდა. ხალხური მასალისადმი სტანეკის შემოქმედებითი მიდგომის წყალობით სასცენო წარმოდგენები სიმღერებისა და ცეკვების უბრალო თანამიმდევრობიდან რთულ კომპოზიციებად გადაიქცა.



უკვე 40 წელია ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი და პირველი მევიოლინე ირჟი პავლიცაა. „ჰრადიშტანი“ თავისი მუშაობის სტილით, დრამატურგიითა და არტისტული დონით გამოირჩევა და წელიწადში დაახლოებით 150 კონცერტს მართავს. ანსამბლი სატელევიზიო გადაცემების ხშირი სტუმარია და ხალხური, ალტერნატიული და კლასიკური მუსიკის ეროვნულ და საერთაშორისო ფესტივალებშიც ხშირად მონაწილეობს, რომლებზეც უამრავი ჯილდო მოიპოვა.

29 სექტემბერს კონსერვატორიაში დაგეგმილ კონცერტზე დასწრება თავისუფალია.

სპორტი

# ჩემპიონთა ლიგა სენსაციებით გრძელდება

დასაწყისი მე-9 გვერდზე

ითამაშა და კოლმანმაც პენალტით ანგარიში გაათანაბრა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ტრაბზონსპ. | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| 2.ინტერი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| 3.ლილი | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| 4.ცსკა | 2 | 0 | 1 | 1 | 4:5 | 1 |

**C ჯგუფი**

**მანჩესტერი-ბაზელი 3:3 (2:0)**

*1:0, 2:0 უელბეკი (16, 17), 2:1 ფ. ფრაი (58), 2:2, 2:3 ა. ფრაი (60, 76, პენ), 3:3 იანგი (90)*

ვერავინ იფიქრებდა, თუ ჩემპიონთა ლიგის ერთ-ერთ ფავორიტს, „ბაზელთან“ გამარჯვება კი არა, ქულის აღებაც გაუჭირდებოდა. მით უფრო მას შემდეგ, როდესაც უელბეკმა 2 წუთში ორი გოლი გაიტანა და მასპინძლები უკვე მე□17 წუთისთვის სერიოზული ჰანდიკაპით დაწინაურდნენ. თუმცა, სტუმრები არ გატყდნენ და...

მატჩი მასპინძელი გუნდის უპირატესობით დაიწყო და სერ ალექს ფერგიუსონის გუნდმა მე-17 წუთისთვის 2:0 დაწინაურება მაინც მოახერხა. ამის საწინდარი გიგზის 2 კარგი პასი გამოდგა, რომელიც ახალგაზრდა დანი უელბეკმა გოლებად აქცია.

მე-2 ტაიმი დაახლოებით 15 წუთის დაწყებული იყო, როდესაც მასპინძელთა კართან კუთხურის მოწოდების შემდეგ დეხეა შეცდა და დამატებაზე მოთამაშე ფაბიან ფრაიმ ანგარიშში სხვაობა შეამცირა. ორ წუთში, შეტევის მარჯვენა ფლანგზე მოთამაშე ფაბიან ფრაიმ საჯარიმოში მყოფ ალექსანდრ ფრაის კარგი პასი გაუკეთა, ხოლო მასპინძელი მცველებისგან უმეთვალყურეოდ დატოვებულმა ვეტერანმა თავდამსხმელმა ანგარიში გაათანაბრა. თხუთმეტ წუთში, „მანჩესტერის“ საჯარიმოში ვალენსიასა და შტრელერის ორთაბრძოლის დროს, არბიტრმა მასპინძელთა კარში საეჭვო თერთმეტმეტრიანი დანიშნა, რომელიც გოლად ალექსანდრ ფრაიმ აქცია და წინ უკვე შვეიცარიელები გაიყვანა. მასპინძლებს ქულა იანგმა მოუტანა, რომელმაც მსაჯის მიერ დამატებულ წუთზე, ნანის ფლანგური პასის შემდეგ თავური დარტყმით ქულის მომტან გოლად აქცია.

**ოცელული-ბენფიკა 0:1**

*0:1 სეზარი (40)*

რუმინული გუნდი ჯგუფის აშკარა აუტსაიდერი და მათთან ქულების აღებას მაქსიმალურად გეგმავენ. პორტუგალიელებმა ეს ამოცანა ბრწყინვალედ შეასრულეს.

ერთადერთი გოლი ტაიმის მიწურულს გავიდა, რომელიც თავის ანგარიშზე სეზარმა ჩაიწერა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაზელი | 2 | 1 | 1 | 0 | 5:4 | 4 |
| 2.ბენფიკა | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| 3.მანჩესტერი | 2 | 0 | 2 | 0 | 4:4 | 2 |
| 4.ოცელული | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |

**D ჯგუფი**

**რეალი-აიაქსი 3:0**

*1:0 რონალდუ (25), 2:0 კაკა (41), 3:0 ბენზემა (49)*

„სანტიაგო ბერნაბეუზე“ გამართული მატჩის საწყის წუთებში, ბევრისთვის მოულოდნელად, „აიაქსის“ უპირატესობით დაიწყო და ჰოლანდიურმა გუნდმა სწორედ აქ დაიღუპა თავი. „რეალი“ კონტრშეტევებზე სწრაფად თამაშობდა და ანგარიში 25-ე წუთზე გაიხსნა, როდესაც მადრიდელთა 4 ფეხბურთელმა ისეთი კონტრშეტევა განახორციელეს, რომელიც საფეხბურთო გაკვეთილად გამოდგება. ამ ყველაფერს ბოლო ფაზაში, ბენზემას პასს ზუსტი დარტყმა რონალდუმ მოაყოლა.

41-ე წუთზე, კაკამ საჯარიმოს გარედან ძლიერად არა, მაგრამ გამიზნულად დაარტყა და ამსტერდამელთა კარის ბადე მეორედ შეარხია.

მე-2 ტაიმის დაწყებიდან ოთხ წუთში, ბრაზილიელმა აქტივში უკვე საგოლე პასი ჩაიწერა აქტივში — კაკამ ცარიელი კარის წინ მყოფ ბენზემას გაატანია.

**ლიონი-დინამო ზ. 2:0 (2:0)**

*1:0 გომისი (23), 2:0 კონე (42)*

აქაც უპირობო ფავორიტად მიჩნეულმა „ლიონმა“ იმარჯვა, თანაც ისე, რომ მასპინძლებს სანერვიულო არაფერი ჰქონიათ.

პირველი გოლისას ხორვატები მოედნის ცენტრში შეცდნენ — ლეკომ პასი უკან გააკეთა და პირდაპირ გომისს ჩააბარა, რომელმაც კარგად დაინახა წინ გამოსული მეკარე და იდეალური სიზუსტით გადაუგდო თავზე.

მეორე გოლი კი მცველის ანგარიშზეა — კონე კუთხურის დროს ჩავიდა ხორვატთა საჯარიმოში, დინამოელ მცველებსაც გაეპარა და ახლო მანძილიდან თავისი პირველი საჩემპიონთალიგო გოლიც გაიტანა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| 2.ლიონი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 4 |
| 3.აიაქსი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:3 | 1 |
| 4.დინამო ზ. | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

**სტუდენტთა საყურადღებოდ!**

თბილისის დამოუკიდებელი სასწავლო უნივერსიტეტი აცხადებს გადმოყვანის წესით მიღებას ბაკალავრიატის ფინანსების, ტურიზმის, სამართალმცოდნეობის, კომპიუტერი-ინფორმატიკის, ფილოლოგიის (ინგლისური, გერმანული), ჟურნალისტიკის, დაწყებითი განათლების, ფსიქოლოგიისა და მაგისტრატურის სისხლისა და სამოქალაქო სამართლის, ფინანსების სპეციალობებზე.

**თბილისი, მ.კოსტავას ქ.№47.**
**ტელ: 2936603; 599188924.**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი აუქციონი; 2. „სამანიშვილის დედინაცვალის“ პერსონაჟი; 3. მართლმადიდებელთა რელიგიური წმინდა წიგნი; 4. ისტორიული ციხე-ქალაქი მცხეთის მახლობლად; 6. გეოგრაფიული ადგილის სახელწოდება; 8. ფულის ერთეული შვეიცარიაში; 11. ბრტყელი ლოკოკინა; 12. მაღალხარისხოვანი არომატული სპირტიანი სასმელი; 16. დასრულებული აზრის მქონე სიტყვათა წყობა; 17. თანავარსკვლავედის ძველი ქართული სახელწოდება; 18. წმინდა გამარჯვება ძიუდოში.

**თარაზულად:** 1. ზღვის ბრტყელი თევზი, რომელსაც ორივე თვალი ერთ მხარეს აქვს; 5. ანტრაქტიდის ინგლისელი მკვლევარი; 7. ძველებური ქართული ბასრწვერიანი საბრძოლო იარაღი; 9. გრძელ დისტანციაზე მორბენალი მძლეოსანი; 10. წმინდა ოქრო; 13. ავსტრალიის დედაქალაქი; 14. მონასტერი ადიგენის რაიონში; 15. ინგლისის კონსერვატიული პარტიის წინამორბედი პოლიტიკური გაერთიანება; 19. ექიმის სპეციალობა; 20. ტბა სამხრეთ საქართველოში; 21. რაიონული ცენტრი სამეგრელოში; 22. ტკბილი კარტოფილი.

შეადგინა თ. კოპალეიშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. წალამი; 2. ქულამა; 3. სპარინგი; 4. მიტენი; 6. „ბარახასი“; 8. დრეიფი; 11. მარტვილი; 12. მუტაცია; 16. ჭინკა; 17. მანგო; 18. დაიმი.

**თარაზულად:** 1. წირქოლი; 5. „სააბი“; 7. ოპუნცია; 9. აზნაური; 10. მექსიკა; 13. ფარგალი; 14. ზაჰესი; 15. „პუმა“; 19. ჩარხილი; 20. „საფერავი“; 21. გარპაგონი; 22. ტიტანი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. რულადა; 2. საკურა; 3. ენოლოგია; 4. ელიავა; 6. თიკანაძე; 8. „ოდისეა“; 11. საგურამო; 12. სატურნი; 16. კაფკა; 17. ბლიცი; 18. „ბრერა“.

**თარაზულად:** 1. რაფსოდი; 5. ჩორთი; 7. „ენისელი“; 9. აბსურდი; 10. ბავარია; 13. ერლიფტი; 14. ლაღიძე; 15. ბანი; 19. „გუდიარი“; 20. კლაკიორი; 21. ქაფიანიძე; 22. ჯორჯია.

## ნიკა გილაური ახალ ზელანდიას სტუმრობს

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური სამუშაო ვიზიტით ახალ ზელანდიას სტუმრობს. იგი ქვეყნის პრემიერ-მინისტრს, პარლამენტის თავმჯდომარესა და ოპოზიციის ლიდერს შეხვდა.



პრემიერ-მინისტრებს შორის გამართულ შეხვედრაზე მასპინძელი ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი მხარდაჭერა გამოხატა.

მხარეებმა სამომავლო პოლიტიკურ და ეკონომიკურ თანამშრომლობაზე ისაუბრეს.

ახალი ზელანდიის პრემიერ-მინისტრი სამომავლოდ საქართველოში ჩამოსვლას აპირებს. აღსანიშნავია, რომ ნიკა გილაურს ახალი ზელანდიის წარმომადგენლები ადგილობრივი ტრადიციების სრული დაცვით დახვდნენ.

**მედიანიუსი**

## პოლონელმა ექიმებმა რეფერალურ საავადმყოფოში უფასო გამოკვლევები ჩაატარეს

საქართველოში საპატიო მისიით ჩამოსულმა პოლონელმა ექიმებმა რადიოლოგიის, კარდიოლოგიის და ქირურგიის დარგში, რეფერალური საავადმყოფოს ბაზაზე ჩაწერილ პაციენტებს უფასო გამოკვლევები და კონსულტაციები ჩაუტარეს.

ამასთან დაკავშირებით, „თბილისი მარიოტში“ მათ მიერ ჩატარებული გამოკვლევების პირველი ეტაპის შემაჯამებელი ანგარიშის პრეზენტაცია გაიმართა.

პრეზენტაციას პოლონური დელეგაციის გარდა საქართველოს მხრიდან რეფერალური საავადმყოფოს გენერალური დირექტორი ლაშა ფაილაძე და პარლამენტის ვიცე სპიკერი რუსუდან კერვალიშვილი ესწრებოდნენ.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, რეფერალური საავადმყოფოს მფლობელი პოლონური კომპანია, რომელიც მომავალში სამკურნალო დაწესებულებაში ინვესტიციების განხორციელებას და საავადმყოფოს მაღალტექნოლოგიური დანადგარებითა და ლაბორატორიებით აღჭურვას გეგმავს.

ლაშა ფაილაძის თქმით, მსგავსი ტიპის საქველმოქმედო აქცია პირველი წარმატებული პროექტია, და მისი მიზანია პოლონელი ექიმების მხრიდან სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება და ქართველი სპეციალისტებისთვის საკუთარი ცოდნისა და თანამედროვე მიღწევების გაზიარება.

„პოლონეთი აპირებს მასშტაბურად ჩაებას საქართველოს ჯანდაცვის პროექტის განხორციელებაში. იგეგმება ქართველი ექიმების გადამზადება როგორც საქართველოში, ასევე პოლონეთშიც. ისინი გაეცნენ რეფერალური საავადმყოფოს პრობლემებს, იგეგმება როგორც მაღალი კვლევის აპარატურის ჩამოტანა დანერგვა და ტრენინგები,“ — განაცხადა ფაილაძემ.

რეფერალური საავადმყოფოს ახალი მენეჯმენტი საავადმყოფოს მართვას აქტიურად 18 სექტემბრიდან შეუდგა. საავადმყოფოს ხელმძღვანელობის განცხადებით, მაღალი რანგის უცხოელი პროფესიონალების უფასო, საქველმოქმედო გამოკვლევები და კონსულტაციები პერმანენტულ ხასიათს მიიღებს.

პოლონელი ექიმების საქველმოქმედო აქცია პოლონეთის პრეზიდენტის უშუალო პატრონაჟით და მხარდაჭერით ხორციელდება.

**მედიანიუსი**

## სამგლოვიარო განცხადებები

### ნელი სამხარაძის გახსენება



საყვარელო ნელი, 29 სექტემბერი შენი დაბადების დღეა, გილოცავთ დაბადების დღეს.

უფალმა მადლის კეთება და დიდი სიყვარულის თესვა უხვად დაგაფრქვია, მისაბაძი მეგობარი და შეუდარებელი პიროვნება იყავი, ვაი, რომ ყველა უძლური აღმოვჩნდით ვერაგ სენთან და 2002 წლის ივნისში გამოგვეცალე ხელიდან.

გვენატრები, ძნელია უშენობა და მარტოობა.

შევთხოვთ უფალს, იქ გამყოფოს, სადაც შენნაირი კეთილი ადამიანები განისვენებენ.

*მეუღლე კუკური სამხარა ე*



მეუღლე ლაურა კილაბერია, შვილები კარინა, თემური, ირაკლი, ვერიკო ნაყოფიები, სიძე გიორგი გაგოშიძე, რძლები ლალი შენგელია, ლელა გულუა, შვილიშვილები, ახლო ნათესავები, მეგობრები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

### მურმან სევერიანის ძე ნაყოფია

პანაშვიდი: 29, 30 სექტემბერს.

დაკრძალვა: 1 ოქტომბერს, 14 საათზე.

მისამართი: ქ.თბილისი, ნუცუბიძის III მიკრორაიონი, II კვარტალი, II კორპუსი, ბინა 21.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## თეატრალურში სასწავლო თეატრის სცენა განახლდა

*ეკა ირემაშვილი*

შოთა რუსთაველის სახელობის კინოსა და თეატრის სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლო თეატრის სცენა განახლდა. ამ ფაქტთან დაკავშირებით, 29 სექტემბერს განახლებული სცენის პრეზენტაცია გაიმართება.

— თბილისის მე-3 საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე, ქართული შოუ ქეისის ფარგლებში, პირველად წარმოდგენილი იქნება საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დრამის ფაკულტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო სადიპლომო და საკურსო სპექტაკლები. სპექტაკლები ნაჩვენები იქნება თეატრალურის უნივერსიტეტის სასწავლო თეატრის სრულიად განახლებულ სცენაზე, რომლის ამხელა მასშტაბით რეკონსტრუქციაც, მისი დაარსებიდან დღემდე, რექტორის გიორგი მარგველაშვილის ინიციატივით, პირველად განხორციელდა. სრულიად განახლებულია სცენა, დარბაზი, განათების და ხმის სისტემა, საგრიმიორო და თეატრალური კოსტიუმების გარდერობი, — განაცხადა თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ჯაბა სიხარულიძემ.

პირველი სპექტაკლი 29 სექტემბერს გაიმართება. წარმოდგენილი იქნება „ჩვენი პატარა ქალაქი“, რომელიც რეჟისორმა გიორგი შალუტაშვილმა ტრაგიკომედიურ ჟანრში დადგა. ეს სპექტაკლი მისი სამსახიობო ჯგუფის მე-4 კურსის სადიპლომო ნამუშევარია.

— გიორგი შალუტაშვილის სპექტაკლის შემდეგ სასწავლო თეატრის განახლებულ სცენაზე წარმოდგენილი იქნება რეჟისორ ვანო ხუციშვილის სპექტაკლი „თოჯინების სახლი, რეჟისორ გოგი თოდაძის მიერ დადგმული „სამანიშვილის დედინაცვალი“, მანანა კვირკველიას „მარწყვის ცივი ტორტი“ და თიკო ქათამაშვილის „მგზნებარე შეყვარებული“. სპექტაკლი „თოჯინების სახლი“ თავისუფალ თეატრში გათამაშდება, ხოლო ყველა დანარჩენი სპექტაკლი სასწავლო თეატრში იქნება წარმოდგენილი. სპექტაკლებზე დასწრება თავისუფალია, თუმცა ადგილების რაოდენობა შეზღუდული, — გვითხრა ჯაბა სიხარულიძემ.

კინოსა და თეატრის უნივერსიტეტის კინოკლუბში ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან ერთად განახლდა კინოჩვენებები. ახალი სეზონი ცნობილი რუსი რეჟისორის, მიხაილ კალიკის ფილმით „ნახვამდის ბიჭებო“ გაიხსნა.

— ჩვენ ისევ დავიწყეთ კინოკლუბის მუშაობა. ყოველი კინოჩვენების შემდეგ იმართება საჯარო დისკუსია სხვადასხვა თემაზე. კინოკლუბში ფილმების ჩვენებები იმართება სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს. ჩვენებებზე უფასოდ დასწრება შესაძლებელია არა მხოლოდ თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის, არამედ ნებისმიერი ასაკის კინომოყვარულთათვის. კინოჩვენებების ორგანიზატორები თეატრალური უნივერსიტეტის სტუდენტები ვახო ჯაჯანიძე და ივა ჩიტიძე არიან, — განაცხადა ჯაბა სიხარულიძემ.

## სოფო ტოროშელიძე გათხოვდა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

თუმცა მისი ქორწილი მცხეთაში ერთ-ერთ რესტორანში შედგა. სოფოს არ უყვარს ხალხმრავალი ქორწილები, ამიტომ მისთვის ყველაზე მნიშვნელოვან დღეს მცხეთაში ახლობლები, ოჯახის წევრები და უახლოესი მეგობრები შეიკრიბნენ.

სოფოს მომავალი მეუღლე მუსიკამ აპოვნინა. მიუხედავად იმისა, რომ დიტოს მუსიკალური განათლება არა აქვს, დიტო კარგად უკრავს გიტარაზე. უფრო პროგრესული და ალტერნატიული როკი იზიდავს, მღერის და სიმღერებსაც წერს. მათ ერთმანეთთან სულ ექვსი თვის ურთიერთობა აკავშირებთ. წყვილმა ერთმანეთი სრულიად შემთხვევით გაიცნო. სოფოს სჭირდებოდა გიტარისტი და მეგობარმა ის და დიტო დააკავშირა ერთმანეთს.

როგორც სოფო აღნიშნავს, დიტო მას არაფერს უკრძალავს, თუმცა იმის გაკონტროლება კი უყვარს, იცოდეს, სად იმყოფება მისი საყვარელი ადამიანი. მიუხედავად იმისა, რომ სოფოს რჩეულიც მუსიკოსია, მან ბიზნესში წასვლა არჩია — ერთ-ერთი კომპიუტერული ფირმის აღმასრულებელი დირექტორია. ამის მიზეზი კი ის გახდა, რომ საქართველოში მუსიკალური სფერო მაინცდამაინც პერსპექტიული არ არის.

მართალია შვილების ყოლაზე ფიქრი ჯერ წყვილისთვის ნაადრევია, თუმცა სოფო თვლის, რომ იქამდე არ გააჩენს შვილს, სანამ ამისთვის ყველანაირად მომწიფებული არ იქნება. ამას ისიც ემატება, რომ სოფომ კონსერვატორიაში საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტი დაამთავრა და მაგისტრატურის დასრულებაც სურს. პარალელურად, სოფო სტუდია „ბასტი ბუბუში“ ვოკალის პედაგოგად მუშაობს. თუმცა, როგორც სოფო ამბობს, ამდენ საქმეს მხოლოდ და მხოლოდ საყვარელი ადამიანის თანადგომით უმკლავდება.

## საქართველოს საგარეო უწყება ლავროვის განცხადებას გამოეხმაურა

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაეროს 66-ე გენერალურ ასამბლეის მაღალი დონის შეხვედრის ფარგლებში 2011 წლის 27 სექტემბერს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

„2011 წლის 27 სექტემბერს გაეროს 66-ე გენერალურ ასამბლეაზე, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი თავის გამოსვლაში, შეეცადა კვლავ დაედანაშაულებინა საქართველო 2008 წლის აგვისტოში საბრძოლო მოქმედებების დაწყებაში. ლავროვმა კიდევ ერთხელ დააფიქსირა მოსკოვის მზადყოფნა, გახდეს „ძალის არ გამოყენების გარანტი საქართველოს, სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს შორის“. ლავროვმა ასევე მოუწოდა ევროკავშირსა და აშშ-ს მიბაძონ რუსეთს. ამგვარი განცხადებებით რუსეთი აგრძელებს ფარისევლურ მცდელობას დაარწმუნოს საერთაშორისო თანამეგობრობა, რომ რუსეთი არის არა კონფლიქტის მონაწილე მხარე, არამედ მშვიდობისმყოფელი და, შესაბამისად, შეუძლია გახდეს მშვიდობის და უსაფრთხოების გარანტი. რუსეთი კვლავ ცდილობს შექმნას ილუზია, თითქოს საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის მიერ შექმნილი საოკუპაციო რეჟიმები საერთაშორისო სამართლის სუბიექტებად უნდა განიხილებოდნენ. ამასთან, ს. ლავროვის განცხადება ცალსახად მიუთითებს, რომ რუსეთი აგრძელებს მცდელობას დაამკვიდროს ევროპაში ე.წ. გამყოფი ხაზები და გავლენის ექსკლუზიური სფეროები.

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან რუსეთის ფედერაცია თანმიმდევრულად და მიზანმიმართულად ებრძვის საქართველოს სახელმწიფოს, მის სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას, რეგულარულად და დემონსტრაციულად არღვევს საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებსა და ნორმებს, ნაკისრ მრავალმხრივ და ორმხრივ ვალდებულებებს, მათ შორის, ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმებას.

აღსანიშნავია, რომ საქართველომ გამოავლინა კეთილი ნება და 2010 წლის 23 ნოემბერს ცალმხრივად აიღო ვალდებულება ძალის არ გამოყენების შესახებ, რასაც რუსეთის მხრიდან საპასუხო ნაბიჯი ჯერ არ მოჰყოლია. რუსეთის ფედერაცია ვალდებულია განაახლოს ძალის არ გამოყენების ვალდებულება საქართველოს მიმართ, რომელიც მან აიღო 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებით. ს. ლავროვის მიერ გაკეთებული განცხადებებით რუსეთი ვერ მოახერხებს ამ ვალდებულებისთვის თავის აცილებას. ძალის არ გამოყენების ვალდებულების



აღება რუსეთის მხრიდან და უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმების დამკვიდრება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ასევე დევნილების და იძულებით გადაადგილებული პირების დაბრუნება თავიანთ საცხოვრებელ სახლებში იქნება ჟენევის მოლაპარაკებების შემდეგი მე-17 რაუნდის მთავარი თემა 2011 წლის 4 ოქტომბერს. განსაკუთრებით ცინიკურად გაისმა გაეროს ტრიბუნიდან რუსეთის პირველი დიპლომატის ზემოთ აღნიშნული „სამშვიდობო“ განცხადება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებზე შეტევითი შეიარაღების შეტანის, რუსეთის საოკუპაციო ჯარების სამხედრო წვრთნების, გამალებული სამხედრო აღმშენებლობის და საომარი რიტორიკის ფონზე. ყველას კარგად ახსოვს რამდენიმე დღის წინ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს წევრის ბ-ნი ბალდასაროვის განცხადება 2014 წლამდე საქართველოსთან კიდევ ერთი ომის აუცილებლობის შესახებ. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცალსახაა, რომ რუსეთის ფედერაციამ რაც შეიძლება მალე უნდა გაახლოს საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულება საქართველოს წინააღმდეგ ძალის არ გამოყენების შესახებ. მხოლოდ ამგვარი ნაბიჯით შეძლებს რუსეთი რეგიონში სტაბილურობის და უსაფრთხოების თვალსაზრისით ვითარების მცირედით მაინც გაუმჯობესებას“.

## TV პროგრამა

### ხუთშაბათი 29 სექტემბერი

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 19.00, 20.00** მოამბე **12.30** ევროპული არჩევანი **14.00** ცხოვრება მშვენიერია **15.00** სერ. **"არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის"** **17.00** ან. ფილმი **18.00** მედ-ინფო **18.30** ჩვენი ფერმა **19.00** დოკ. ფილმი "დაკარგული კიდობნის ძიებაში" **21.00** სერ. **"არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის"** **22.00, 03.20** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **23.00** თოქ-შოუ "არენა" **00.00** ავტოპილოტი **01.00** მხ. ფილმი **"ჯიბის ფული"** (**12**) (მ. გრიფიტი) **03.00** მოამბე **04.20** არენა **05.20** სი ბემოლი

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00** პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია **19.00, 01.00** სერ. **"ზიანი"** **20.00** მხ. ფილმი **"იმპერია"** **02.00** მხ. ფილმი **"ავარია"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **11.00** სერ. **"კლონი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს კურიერი **13.30** შუა დღე **15.40** ეთამაშე ვარსკვლავს **17.00** სერ. **"ავრორა"** **18.45** სერ. **"ახალგაზრდა ქვრივი"** **19.45** სერ. **"სახლი მეზობლად"** **22.00** პროფილი **00.00** შუა დღე **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"მოპარული ბედნიერება"** მე-**3**ს. **11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.25** ქრონიკა **11.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **12.30** დღის შოუ **14.30** ტვ-მარკეტი **14.40** სერ. **"ყავა და ლუდი"** მე-**4**ს. **15.00** წუთისოფელში **16.00** სერ. **"მეტოქეები"** **17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **18.40** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **21.00** სერ. **"დამალული სიმართლე"** **22.00** სერ. **"შუა ქალაქში"** **23.00** სერ. **"გოგონა გარეუბნიდან"** **23.50** მუს. ლიგა (გან.) **01.20** რემონტი **01.50** მხ. ფილმი **"სამუშაო"** (**15**) (დ. ჰანა) (სუბტ.) **03.50** მხ. ფილმი **"24 საათი ტყვეობაში"** (**15**) (შ. ტერონი) (სუბტ.) **06.30** სერ. **"მარინა"** მე-**4**ს.

**08.00** მხ. ფილმი **10.00** სერ. **"ჩემი შეყვარებული"** **11.00** ანიმაცია "არგაი" **12.00, 15.15, 17.00** ტვ-მარკეტი **12.15** სერ. **"დაკარგული ქვეყანა 2"** **13.00** მხ. ფილმი **15.30** პულსი **17.10** სერ. **"ტყუპები"** **18.00** მხ. ფილმი **20.00** სერ. **"ელიზა 2"** **21.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00, 23.00** სერ. **"სოფია, ცოტა მადროვე"** **10.00** დოკ. ფილმი **10.40** სცენა **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.00** სერ. **"მონტალბანო"** **12.50, 19.35** სერ. **"დაუნების დედოფალი"** **15.00** სერ. **"განებივრებული ლამაზმანი"** **16.00** სცენა **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება**

**08.30** განთიადი **10.00, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.30** პერსპექტივა **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"განგაში"** **13.30** კონცერტი – თ. შარანგია **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.25** მხ. ფილმი **"წინამორბედი"** **17.10** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **17.35** მოკლ. ფილმი **"სათადარიგო ბორბალი"** **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.15** **100** ქართული ხალხური სიმღერა **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ. ფილმი **"ჩვენი ეზო"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** მიწათმოქმედი **21.40** გამოყენებითი ხელოვნება **22.20** დოკ. ფილმი "შორია გურჯისტანამდე" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ. ფილმი "წმინდა მეფე თამარი" **00.55** განთიადის სტუმარი **01.00** მოკლ. ფილმი "ბელურების გადაფრენა" **01.55** ნიამორი

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**29 სექტემბერი**

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 1,6613
ევრო — 2,2702
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7208
რუსული რუბლი — 0,057

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 18-23, ღამით — 8-12
**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 29-22, ღამით — 11-13
**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 18-18, ღამით — 2-19

**ამინდის პროგნოზი 29 სექტემბრისთვის**





# 26 სექტემბრიდან

„ახალ თაობასთან“ ერთად იყიდება უნიკალური პროექტის **„ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო — 100 წიგნი“** მე-12 ტომი

**უნიკალური პროექტი**

# კოკო შანელი

**უკვე გამოცემულია „100 წიგნის“ 11 ტომი. ესენია:**
**1.განდი, 2.ფრანკო, 3.ჩერჩილი — პირველი ნაწილი, 4.ჩერჩილი — მეორე ნაწილი, 5.სერვანტესი, 6.მარკესი, 7.რიშელიე, 8.ნაპოლეონი, 9.ვაჟა-ფშაველა, 10. კეისრები, 11.ათათურქი.**
**გამოსაცემად მზადაა:**
**ჩარლი ჩაპლინი, მარკო პოლო, ბიტლზი, რეიგანი.**




„100 წიგნში" შედის იმ ადამიანთა ბიოგრაფიები, რომელთაც დიდი კვალი დატოვეს მსოფლიო პოლიტიკაში, მეცნიერებასა და კულტურაში.

**გაზეთი და წიგნი ერთად 8 ლარი**


# შერმადინის „კანტუში“ გადასვლა თითქმის გადაწყვეტილია

**იტალიური საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, გიორგი შერმადინის "კანტუში" გადასვლა გადაწყვეტილია და ქართველი ცენტრი რამდენიმე დღეში შეუერთდება იტალიურ კლუბს.**



— გასულ ზაფხულს “კანტუსთან” კონტრაქტგაფორმებული ბელარუსი ცენტრი არტიომ პარახუსკი კარიერას “ვენეციაში” გააგრძელებს. ბელარუსმა საკუთარი ძალები ვერ დაუმტკიცა “კანტუს” მწვრთნელებს და ის სხვა გუნდს გადაულოცეს. მისი შემცვლელი “ბენეტ კანტუმ” უკვე მოძებნა — ქართველი მეფარე გიორგი შერმადინი, რომელიც “პანათინაიკოსს” გასულ სეზონში “ოლიმპიაში” ჰყავდა განათხოვრებული, — წერს იტალიური მედია.

“კანტუს” სეზონის პირველი ოფიციალური შეხვედრა 1 ოქტომბერს აქვს. მანუჩარ მარკოიშვილის გუნდი სუპერთასისთვის “სიენას” დაუპირისპირდება. შერმადინის ტრანსფერის ამბავიც სავარაუდოდ ამ მატჩამდე უნდა გადაწყდეს.

**მ. ჟ.**

# სოფო ტოროშელიძე გათხოვდა

**ეკა ირემაშვილი**

ჯგუფ „ელდრაინის“ სოლისტი და პროექტ „ვარსკვლავების აკადემიის“ მონაწილე სოფო ტოროშელიძე გასულ უქმეებზე გათხოვდა. მისი რჩეული მუსიკოსი და გიტარისტი დიტო კვინტრაძეა, რომელიც პროფესიით დიპლომატია, წყვილი ქორწილამდე დაინიშნა და დადებული პირობაც — სექტემბერში დავქორწინდებით — პირნათლად შეასრულა. სოფოს სურვილი ჰქონდა თავისი ქორწილი არატრადიციულად, ღია ცის ქვეშ მინდორზე გაემართა,



გაგრძელება მე-11 გვერდზე

# ასტროპროგნოზი

29 სექტემბრისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

<u>წარმატებული დღეა</u>

**ვერძი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **კურო** — ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **ტყუპები** — შემოქმედებითი დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **კირჩხიბი** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **ლომი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ქალწული** — გზიდან ფულს მიიღებთ. **სასწორი** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ღრიანკალი** — ახალი საქმე მოგეწონებათ, ყურადღების ცენტრში აღმოჩნდებით. **მშვილდოსანი** — თავს კრიტიკულად შეხედეთ, ასე აჯობებს. **თხის რქა** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **მერწყული** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **თევზები** — ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# იუმორი



ტიპი შუაღამისას ხმაურმა გააღვიძა. ხედავს, ქურდი კარადის უჯრებს ქექავს.
— რას ეძებთ?
— ფულს.
— რამე თუ იპოვეთ, გამაღვიძეთ...

***

— ჩაი პირთამდე თუ დაგისხეს, იმიტომ კი არა, რომ არ ენანებათ, არამედ იმიტომ, რომ შაქარი არ ჩაიყაროთ...

***

— სამი წლის რომ იყო, პლაჟზე დედიშობილა დარბოდა. ახლა 33 წლისაა და ორი ბოთლი შამპანური ბავშვობაში აბრუნებს...

***

— თუკი ინვალიდები შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანები არიან, გამოდის, ყველა დანარჩენს შეუზღუდავი შესაძლებლობები აქვთ?

**გ. თ.**

# თქვენ და სიგარეტი

**ტესტი**



***1. რამდენ სიგარეტს ეწევით დღეში?***
ა. 10-მდე (0). ბ. 10-20 (1). გ. 20-ზე მეტი (2).

***2. რამდენ ნიკოტინს შეიცავს თქვენი სიგარეტები?***
ა. 0.8 მგ-მდე (0), ბ. 0.8-1.5 მგ. გ. 1.5 მგ-ზე მეტი.

***3. „ყლაპავთ“ თუ არა კვამლს?***
ა. არასდროს (0). ბ. ხანდახან (1). გ. ყოველთვის (2).

***4. როდის უფრო მეტ სიგარეტს ეწევით?***
ა. დილით (1). ბ. დღის მეორე ნახევარში (0).

***5. როდის ეწევით პირველ სიგარეტს?***
ა. დილით საწოლში (2). ბ. საუზმის შემდეგ (1). გ. უფრო გვიან (0).

***6. ეწევით თუ არა საწოლში, ავად რომ ხართ?***
ა. დიახ (1). ბ. არა (0).

***7. რომელი სიგარეტი უფრო გსიამოვნებთ?***
ა. პირველი (1). ბ. არც ერთი (0). გ. მეორე (0).

***8. გიჭირთ თუ არა საზოგადოებრივ ადგილებში სიგარეტზე უარის თქმა?***
ა. დიახ (1). ბ. არა (0).

**პასუხები**

**0-2 ქულა:** თქვენ ჯერ არ შეჩვევიხართ სიგარეტს, არ გაგიჭირდებათ მავნე ჩვეულებისთვის თავის დანებება.

**3-5 ქულა:** უკვე მიეჩვიეთ სიგარეტს, დაუყოვნებლივ თავი უნდა დაანებოთ.

**6-9 ქულა:** თქვენი ორგანიზმი უკვე დამოკიდებულია ნიკოტინზე, თუ მომავალშიც ასე გააგრძელებთ, მდგომარეობა უფრო დამძიმდება.

**10-12 ქულა:** შეიძლება ითქვას, რომ სიგარეტს ველარ შორდებით, დანებებისთვის მოთმინება და ნებისყოფის მოკრება დაგჭირდებათ.

**გ. თ.**

# კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. სანთლიდან ჩამომდნარი წვეთი; 2. ტყეში ბინადარი ეკლიანი ცხოველი; 3. ყველაზე დიდი ნავთობის საბადო ყაზახეთში; 4. ვულკანი ნეაპოლის მახლობლად; 6. ძველებური ქართული კაჟიანი თოფი; 8. ბანკის მევალეთა სარეგისტრაციო დავთარი; 11. ქუთაისის ძველი სახელწოდება; 12. ქართველ მეფეთა საგალობელ „შენ ხარ ვენახი“-ის ავტორი; 16. საპატარძლოსათვის მითრმეული საქორწილო ნიშანი; 17. თვითმფრინავთმშენებლობის ერთ-ერთი ცენტრი ინგლისში; 18. მაჯისცემა ანუ....

**თარაზულად:** 1. მოხარშული კვერცხის გულიანი ხაჭაპური; 5. ფინეთის პარლამენტი; 7. ქალაქ ოდესის ძველი სახელწოდება; 9. კენიის დედაქალაქი; 10. ხმის სახშობი მოწყობილობა ჩასაბერ მუსიკალურ ინსტრუმენტებში; 13. პაბლო პიკასოს ანტიფაშისტური ფერწერული ტილო; 14. მინერალური წყალი სამეგრელოში; 19. მონასტერი სტეფანწმინდის რაიონში; 20. სპორტის სათამაშო სახეობა; 21. მე-11 საუკუნის მონასტერი კასპის რაიონში; 22. ღვინის წარმოებისა და ვაჭრობის ერთ-ერთი ცენტრი საფრანგეთში.

*შეადგინა თ. კოპალეიშვილმა*

